

ებრაული ახალშენების ევაკუაცია დასრულდა
A3



„ერთობლივი გამარჯვება" დღეიდან იწყება
A3



საფეხბურთო არქიტექტურის საიდუმლოებანი
A8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 2005 წელი. №190 (1050)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### არუთინიანი გაქცევის სურვილს უარყოფს

არუთინიანს გაქცევაზე არასოდეს უფიქრია და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. "ბრალდებული სარჩელის აღძვრას, საქმის გამოძიებას და შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეომასალის ექსპერტიზას მოითხოვს.

A2

## ამბები

### აფხაზეთის პატიმრები სასჯელს რუსეთში მოიხდიან

ძალიან ცოტას თუ მოუნდება რუსეთის ციხეში მოხვედრა. პატიმართა ტრანსპორტირებას აფხაზეთის ბიუჯეტი დააფინანსებს, თუმცა, ციხეში სასჯელს ისინი რუსეთის ხარჯზე მოიხდიან.

A2

## ამბები

### „მეორე ბაგრატიონი"

ორიოდე დღის წინ, როდესაც საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი შოთა შურღაია გარდაიცვალა, ქართული საინფორმაციო საშუალებები აუწყებდნენ ხალხს, რომ შოთა შურღაია იყო მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ქართველი გმირი. სინამდვილეში კი, რუსეთში, ქალაქ რიაზანში, ცხოვრობს ქართველი გენერალი გალაქტიონ ალფაიძე, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 1945 წელს პირადად იოსებ სტალინმა მიანიჭა და რომელსაც სიცოცხლეშივე შეარქვეს "მეორე ბაგრატიონი".

A2

## სპორტი

### მარია I

18 წლის რუსი ჩოგბურთელი ქალთა ასოციაციის (WTA) რეიტინგის სათავეში მოექცა. 22 აგვისტოს გამოქვეყნებული რეიტინგ-ნუსხა სწორედ შარაპოვას პირველობას გვამცნობს.

A8

## ამინდი

| | 16/08 | 17 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 38 |
| ტყიბული | 38 | 38 |
| სოხუმი | 38 | 39 |
| დმანისი | 32 | 33 |
| გორი | 35 | 35 |
| ონი | 32 | 31 |
| ზუგდიდი | 42 | 43 |
| ახმეტა | 37 | 37 |
| გაგრა | 35 | 36 |
| სამტრედია | 41 | 42 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.2346 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.2703 |
| რუბლი | 0.0635 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| მეტი ყურადღება | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# სოხუმი დევნილებისთვის ქონების დაბრუნებას უარყოფს

*სოხუმის მერია ამტკიცებს, რომ ოპოზიციის განცხადებები დედაქალაქში ქართველი ლტოლვილების სპონტანური დაბრუნების თაობაზე, იაფფასიანი პოლიტიკური სპეკულაციაა.*

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

ოპოზიციურ პრესაში რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა მონაცემები იმის თაობაზე, თითქოს სოხუმში ბრუნდებიან დევნილები, რომლებიც ომის დროს ქართველების მხარეს მებრძოლთა ოჯახების წევრები არიან. აფხაზეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ქართულ მხარეს მებრძოლი მოქალაქეები სამხედრო დამნაშავეები არიან. მეტიც, ამბობენ, რომ სასამართლოს მეშვეობით, ეს დევნილები ომამდე მათ კუთვნილ უძრავ ქონებასაც იბრუნებენ. პრესაში სწორედ მსგავსი ფაქტები იყო გამოქვეყნებული.

ამ მიზეზით ქალაქის მერიამ საკუთარი ინფორმაცია გამოაქვეყნა და ოპოზიციური პრესის მიერ მოყვანილ ფაქტებს შეფასებებიც გაუკეთა. ქალაქის მერია ირწმუნება, რომ მებრძოლების ოჯახების წევრი დევნილების დაბრუნებას ადგილი არ აქვს. სოხუმში საკმაოდ ბევრი ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ნათესავებიც, ამა თუ იმ ფორმით, ქართველთა მხარეს იბრძოდნენ. თუმცა, სამართალდამცავ ორგანოებს მათ მიმართ პრეტენზიები არ აქვთ. და თუ ისინი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში მონაწილეობენ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დევნილთა დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს.

მერიამ ასევე კომენტარი გაუკეთა ოპოზიციის მიერ მოყვანილ ფაქტებს და მათ "თითიდან გამოწოვილი" უწოდა. უმეტეს შემთხვევაში საუბარია იმ უძრავ ქონებაზე, რომლის ძველმა პატრონებმა, თავიანთი უფლებები დოკუმენტურად დაადასტურეს და ახლა სწორედ ამაზე აქვთ დავა. რიგ შემთხვევებში კი, საუბარია ისეთ სახლებზე, რომლებიც პირად საკუთრებას წარმოადგენს და მესაკუთრეები ამ მომენტში სწორედ იქ ცხოვრობენ.

რაც შეეხება დევნილთა დაბრუნებას და მათი მხრიდან იმ სახლების დაბრუნების მოთხოვნას, რომლებშიც უკვე სხვები ცხოვრობენ, ქალაქის მერიის განცხადებით, **"მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა ომის შემდგომ პერიოდში წინა ხელისუფლების დროსაც, და ეს არ არის სახელმწიფოს ბრალი."** ამის გამო, მერიას მიაჩნია, რომ ოპოზიციური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და ეს იაფფასიანი პოლიტიკური სპეკულაციაა.

# ოცნებასთან შესახვედრად

### პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

ვერა ნეფარიძე

*პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი "იავნანა" აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებს. ცნობილი ქართველი ბანის საქველმოქმედო საქმიანობაში სექტემბრის შუა რიცხვებში მსოფლიოში ცნობილი კიდევ ერთი ბანი ფერუჩიო ფურლანეტოც ჩაერთვება. თუმცა, მანამდე "იავნანა" აქციის - "ერთად გადავარჩინოთ მომავალი" ფარგლებში ეგეოსის ზღვის სანაპიროზე ორმოცდაათი ქართველი ბავშვის დასვენებას უზრუნველყოფს. გუშინ ბავშვები გამგზავრების წინ უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ დალოცა. თავად ფონდის პრეზიდენტი კი საქართველოს საპატრიარქოში გამართული შეხვედრის შთაბეჭდილებებს გერმანიაში, ფონდის წევრებთან სატელეფონო საუბრისას ეცნობოდა.*

გაგრძელება A8 გვერდზე



*ეგეოსის ზღვაზე დასასვენებლად მიმავალი ბავშვები ილია II-მ დალოცა.*

# დსთ-ს ქვეყნების საგარეო უწყებათა მეთაურების შეხვედრა მოსკოვში

### რუსეთი "ახლებურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე" გადასვლას გეგმავს

ხათუნა გაბიევი

დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების გუშინდელი შეხვედრა 26 აგვისტოს ყაზანში დაგეგმილი დსთ-ს ლიდერთა სამიტის წინმსწრები ღონისძიება იყო. დსთ-ს საგარეო უწყებათა მეთაურების შეხვედრის დასრულების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი კმაყოფილებას არ მალავდა.

ოფიციალური ინფორმაციით, 26 აგვისტოს დსთ-ს სამიტის დღის წესრიგში მინისტრებმა 15 საკითხი შეიტანეს. რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრას, მინისტრებმა განსაკუთრებული ყურადღება დსთ-ს რეფორმირებას, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხებს დაუთმეს.

**"სხდომაზე მოვამზადეთ დსთ-ს სამიტისთვის დოკუმენტთა მთელი ნუსხა. უნდა**

გაგრძელება A3 გვერდზე



*სერგეი ლავროვი კმაყოფილებას არ მალავდა.*

# "ბიძია მიშა! დაგვიბრუნე ჩვენი თანაკლასელი," - ითხოვენ გატაცებულის თანაკლასელები

*ხუთი დღის წინ სოფელ ნულიდან გატაცებული 11 წლის გენადი პეტრიაშვილის ძებნა ჯერჯერობით უშედეგოდ გრძელდება. ქართველი სამართალდამცველების მტკიცებით, ყველაფერი კეთდება ბავშვის გასათავისუფლებლად, მაგრამ სიტუაციას ართულებს ის, რომ მძევალი ქართველების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზეა გადაყვანილი.*

გუშინ გორის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მშობლებთან და პედაგოგებთან ერთად, თანაკლასელის გენო პეტრიაშვილის სოლიდარობის ნიშნად, აქცია გამართეს. სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტს, ცხინვალის მთავრობის წარმომადგენლებსა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ; ამასთან, სთხოვენ გამტაცებლებს, ბავშვი უვნებლად დააბრუნონ. აქციის მონაწილეთა განცხადებით, თუ დაუყოვნებლივ არ მოხდება გენო პეტრიაშვილის ადგილსამყოფელის დადგენა, შესაძლოა, მე-9 სკოლის მე-6 კლასმა სასწავლო პროცესი საერთოდ შეწყვიტოს. ისინი მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს ლოზუნგით - "ბიძია მიშა! დაგვიბრუნე ჩვენი თანაკლასელი, დაიცავი პატარა მოქალაქეები".

სკოლის ახლად დანიშნულმა დირექტორმა ქეთევან თევდორაშვილმა დაიჩოქა სკოლის წინ და ამგვარად მიმართა გამტაცებლებს, რომ მათი თხოვნა გაითვალისწინონ და დააბრუნონ 11 წლის ბავშვი. ქეთევან თევდორაშვილმა მიმართა მთელ საზოგადოებას, საქართველოს ხელისუფლებას, ცხინვალის მთავრობას - ნუ ჩაუმწარებენ მე-9 სკოლის ასობით მოსწავლეს 1 სექტემბერს და გენო პეტრიაშვილი გაათავისუფლონ ტყვეობიდან.

მიუხედავად იმისა, რომ გენო პეტრიაშვილი, უკვე მეხუთე დღეა, რაც დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს, მისი ადგილ-სამყოფელი კვლავ უცნობია. ამ ხნის განმავლობაში ოჯახის წევრებს გამტაცებელთაგან არავინ შეხმიანებია და ბავშვის სანაცვლოდ არანაირი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისწავლე უპრობლემოდ

*თუკი თქვენ უმაღლესი განათლების მიღება ქვეყნის ფარგლებს გარეთ ან, თუნდაც, საქართველოში გადაწყვიტეთ და საჭირო თანხების უქონლობას უჩივით, მაშინ გეტყვით, რომ განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის ახალმა ინიციატივამ თქვენ სულზე მოგისწროთ. სწავლის საფასურსა და მასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს კავშირი დაფარავს, თქვენ მხოლოდ უნივერსიტეტი აირჩიეთ.*

მარიამ ჭაჭვაძე

თუმცა, ეს ყველაფერი როდია. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ სწავლა დიდი ხნის წინ დაამთავრეთ და ახლა საზღვარგარეთ სტაჟირებაზე ოცნებობთ, განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირი თქვენი წადილის შესრულებაშიც დაგეხმარებათ.

ამ და სხვა მსგავსი მიზნების მისაღწევად ხსენებული კავშირი თქვენ საჭირო ოდენობის სესხს უმოკლეს დროში გამოგიყოფთ და, რაც მთავარია, შეღავათიანი პირობებით. შეღავათის არსი, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ მას მსესხებელი ვადის გასვლის შემდეგ სარგებლის გარეშე აბრუნებს, ანუ განათლების ერთიანი კავშირის მიერ გაცემული სესხები უპროცენტოა. სესხის აღების პროცედურა კი ძალიან გამარტივებულია, იმდენად, რომ თქვენ მოთხოვნილ თანხას განაცხადის გაკეთებიდან რამდენიმე დღეში მიიღებთ.

სტუდენტებისა და აბიტურიენტების გარდა, ამ პროგრამაში მონაწილეობისა და, შესაბამისად, სესხის აღების შესაძლებლობა დამამთავრებელი სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებსა და პროფესორ-მასწავლებლებსაც შეუძლიათ.

ამ პროგრამისა და კავშირის კოორდინატორი დავით დობორჯგინიძე განმარტავს, რომ განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის მიზანია სტუდენტებისათვის ხელშეწყობა იმ პერიოდში, როცა ქვეყანაში განათლების რეფორმა მიმდინარეობს: **"კავშირის წევრებს, მათ შორის - სტუდენტებს, მიეცემათ საშუალება, პროცედურულად მარტივი, არასაბანკო, უპროცენტო სესხებით ისარგებლონ, დაფარონ სწავლების საფასური, შეიძინონ კომპიუტერი, სახელმძღვანელოები, მობილური ტელეფონები და სხვა საჭირო ნივთები,"** - განაცხადა დობორჯგინიძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შვიდპროცენტიანმა ბარიერმა, შესაძლოა, დაიწიოს

*ორი დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ხელისუფლების მზადყოფნა საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერი ხუთ პროცენტამდე დაიწიოს.*

თამარ მჭედლიშვილი

**"პარლამენტი ამ საკითხზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე იმსჯელებს. ჩვენ შვიდპროცენტიანი ბარიერის ხუთ პროცენტამდე დაწევის შესახებ დადებითი პოზიცია ჯერ კიდევ მაშინ გამოვხატეთ, როდესაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150 დეპუტატამდე შევამცირეთ. ასე რომ, მომავალ არჩევნებამდე ვიმსჯელებთ ამ საკითხზე და გარწმუნებთ, უმრავლესობა ამ მხრივ პრობლემას არ შექმნის,"** - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

ამ საკითხის განხილვის კონკრეტული თარიღი უცნობია. პარლამენტში არაფერი იციან იმის თაობაზეც, თუ, ვინ შევა საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში. არ არის გამორიცხული, ეს თავად საქართველოს პრეზიდენტი იყოს. მეორე ვერსიის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილების ავტორად, შესაძლოა, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი ან მისი მოადგილე, ამავდროულად, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერიაც მოგვევლინოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სგსე-ს თანამშრომელს ყური მოაჭამეს

*"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქვემო ქართლის ფილიალის თანამშრომელს მომხმარებლებმა ყური მოაჭამეს. დაზარალებული ჰოსპიტალიზებულია. სგსე-ში კი მომხდარი ფაქტის გამო აღშფოთებას გამოთქვამენ.*

ქვემო ქართლის ფილიალის ბოლნისის მომსახურების ცენტრის თანამშრომელს ადგილობრივი მოსახლეობა სასტიკად გაუსწორდა. ინციდენტი ამავე რაიონის სოფელ ქვემო არქევანში მოხდა. მოსახლეობის მიერ სასტიკად ნაცემი ბოლნისის რაიონის მომსახურების ცენტრის ქოლაგირის ზონის უბნის უფროსი ელშად რაგიმოვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაშავებულ ელშად რაგიმოვს მრავალჯერადი დაჟეჟილობების გარდა, ყურის ნაწილი ჰქონდა მოჭმული. აღნიშნული ფაქტის შესახებ ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორმა ირაკლი ელაშვილმა შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოს აცნობა.

"სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის თანამშრომლების მიმართ მოსახლეობის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფა კვლავ გრძელდება," - აცხადებენ ენერგოკომპანიაში.

რაც შეეხება ანგარიშსწორების მიზეზს: საქმე ეხება დაახლოებით 2000 ლარის, მიმდინარე დავალიანების გადაუხდელობის პრეცედენტს, რასაც მოგვიანებით, ქვემო არქევანში ტრანსფორმატორის გათიშვა მოჰყვა.

**24 საათი**

# არუთინიანი გაქცევის სურვილს უარყოფს

ვლადიმერ არუთინიანის მოსალოდნელი გაქცევის თაობაზე ინფორმაცია შს სამინისტრომ თავის ინტერნეტ-გვერდზე 17 აგვისტოს ღამით გაავრცელა, ხოლო 18 აგვისტოს ტელევიზიებს ბრალდებულთან ჩაწერილი ინტერვიუ გადასცა. ინტერვიუში არუთინიანი ამბობდა, რომ მისი ოცნება რეალურია, მიუხედავად იმისა, რომ გისოსებს მიღმა იმყოფება და განსაკუთრებულად იცავენ. ამასთან დაკავშირებით არუთინიანის ადვოკატი გულიკო ჯიმშერიძე სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. როგორც ჯიმშერიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ინფორმაცია გაქცევის შესახებ პრესიდან შეიტყო, რამაც ძალიან შეაშფოთა. ადვოკატის თქმით, არუთინიანს გაქცევაზე არასოდეს უფიქრია და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. "ბრალდებული სარჩელის აღძვრას, საქმის გამოძიებას და შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეომასალის ექსპერტიზას მოითხოვს. ბრალდებულის განცხადებით, ის ვიდეომასალა, რომელიც შს სამინისტრო პრესსამსახურმა გაავრცელა, დამონტაჟებულია და მისი ინტერვიუს კონტექსტი შეცვლილია", - აღნიშნა ადვოკატმა და დასძინა, რომ სარჩელის მოთხოვნა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება იქნება. "შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ დაკავებულის დაცვის ნორმები გაცილებით გამკაცრდა - მას საკანში ვიდეოკამერები დაუყენეს, რაც ბრალდებულის უფლებებს ლახავს. ამიტომ, არუთინიანი საკანში არსებული ვიდეოკამერების დემონტაჟს მოითხოვს", - განაცხადა ჯიმშელაძემ.

შეგახსენებთ, 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილი ვლადიმერ არუთინიანი ვაშლიჯვარში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს. ეჭვმიტანილმა სამართალდამცველების მისამართით ცეცხლი გახსნა და ყუმბარა ისროლა, რომლის დროსაც თავადაც დაიჭრა. ორმხრივი სროლისას დაიღუპა შს სამინისტროს კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ქვლივიძე. არუთინიანს ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენეს, მათ შორის - ტერორიზმის, განზრახ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება-გამოყენების მუხლებით. რაც შეეხება არუთინიანის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, ადვოკატის თქმით, გამოძიება ამ დროისთვის ექსპერტიზის დასკვნებს ელოდება.

გულიკო ჯიმშელაძემ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს გამოძიების პერიოდში არუთინიანის ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაყვანა იგეგმება. ადვოკატის ინფორმაციით, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს, რადგან არუთინიანმა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა, იგი ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს და მას ბრალდებები ქართული კანონმდებლობის მიხედვით წაუყენეს. იმ შემთხვევაში, თუ არუთინიანს წარდგენილი ბრალდება დაუმტკიცდება და ამასთან, იგი ფსიქიურად ჯანმრთელად გამოცხადდება, მას, შესაძლებელია, სამუდამო პატიმრობა დაემუქროს.

**24 საათი**

# „მეორე ბაგრატიონი"

*ორიოდე დღის წინ, როდესაც საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი შოთა შურღაია გარდაიცვალა, ქართული საინფორმაციო საშუალებები აუწყებდნენ ხალხს, რომ შოთა შურღაია იყო მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ქართველი გმირი. სინამდვილეში კი, რუსეთში, ქალაქ რიაზანში, ცხოვრობს ქართველი გენერალი გალაქტიონ ალფაიძე, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 1945 წელს პირადად იოსებ სტალინმა მიანიჭა და რომელსაც სიცოცხლეშივე შეარქვეს "მეორე ბაგრატიონი".*

კობა ლიკლიკაძე



როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 88 წლის ქართველმა გენერალმა ორი წლის წინათ გაყიდა ბინა მოსკოვში და შვილთან ერთად რიაზანში გადავიდა საცხოვრებლად. ხანდაზმულ გენერალს ახალი გადატანილი ჰქონდა ოპერაცია (ქირურგებმა მას მარცხენა ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს), მაგრამ სატელეფონო ინტერვიუზე უარი არ უთქვამს.

**"ომის პირველი დღეებიდან ვორონეჟში საპოლკო ქვემეხების ბატარეის მეთაური ვიყავი. ომი მე მოსკოვის მისადგომებთან დავიწყე, ვმონაწილეობდი მოსკოვის დაცვის ბრძოლებში. შემდეგ ვმონაწილეობდი უკრაინის გათავისუფლების ბრძოლებში, განვახორციელე დნეპრის ფორსირება, ბრძოლებით გავიარე ბელორუსია, ბულგარეთი, რუმინეთი და ომის დასრულებას ავსტრიაში შევხვდი."**

საბჭოთა კავშირის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე 1916 წელს ქუთაისთან ახლოს, სოფელ კურსებში დაიბადა. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, 15 წლის ჭაბუკი კურსების გრანიტის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა, 1938 წელს კი სამხედრო კარიერა აირჩია. ზუსტად 60 წლის წინ, 1945 წლის 28 აპრილს, მეორე მსოფიო ომის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე, გალაქტიონ ალფაიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება იოსებ სტალინმა მიანიჭა. ავსტრიის ეპიზოდში პოლკმა, რომელსაც მაიორი გალაქტიონ ალფაიძე ხელმძღვანელობდა, მწყობრიდან გამოიყვანა ათი გერმანული ტანკი - "ვეფხვი" და გაანადგურა რამდენიმე ტყვიამფრქვევის ძოტი. თუმცა თავად გალაქტიონ ალფაიძემ მძიმე კონტუზია მიიღო და ბრძოლის წარმატებით დასრულების შესახებ მხოლოდ ლაზარეთში შეიტყო.

**"ლეიტენანტობიდან დავიწყე 36-ე საარტილერიო პოლკში და ბატარეის მეთაურობიდან პოლკის მეთაურობას მივაღწიე. ომის დასრულებამდე პოლკის მეთაური ვიყავი. მერე იყო სახალხო მოლაშქრეებით დაკომპლექტებული 113-ე დივიზია, მოსკოველები იყვნენ. აი, ეს არის მოკლედ. ისე, ეს ყველაფერი უკვე აღწერილია."**

რუსეთში გენერალ ალფაიძეს უდიდეს პატივს სცემენ. ინტერნეტში სპეციალური საიტიც კია გახსნილი, სადაც შეგიძლიათ მოიძიოთ უამრავი მასალა ქართველ გენერალზე. გალაქტიონ ალფაიძე თითებზე ჩამოსათვლელ იმ მხედართმთავართა რიცხვში შედის, რომლებმაც სამხედრო ტექნიკის განვითარებაში განუზომელი წვლილი შეიტანეს. მისი მხედრული ბიოგრაფიის გვირგვინად ითვლება პლესეცკის კოსმოდრომის მშენებლობა და ამ კოსმოდრომიდან რაკეტამატარებლების გაშვება, რომელსაც გალაქტიონ ალფაიძე პირადად ხელმძღვანელობდა.

როგორც ვთქვით, 90 წელს მიტანებული გენერალი ალფაიძე რიაზანში ცხოვრობს. ლოგინადჩავარდნილი ხანდაზმული გენერლის ჯანმრთელობა მძიმეა, მაგრამ იგი არავის აწუხებს. შარშან მაისში, როცა დავურეკე, საქართველოში აჭარის კრიზისი პიკს აღწევდა. როდესაც მოვიკითხე, მან მიპასუხა, აბა, როგორ უნდა ვიყო, ორივე ფეხი მოჭრილი მაქვსო. შემდეგ მკითხა: **"სად არის ახლა ჩვენი პრეზიდენტი? ბათუმიდან ცუდი ამბები მაქვს და ვნერვიულობ."**

გალაქტიონ ალფაიძეს წელს, 7 ნოემბერს, 89 წელი უსრულდება. მისი ერთ-ერთი ძმის შვილის, ჩემი მეგობრის, რამაზ ალფაიძისაგან ვიცი, რომ გალაქტიონ ალფაიძეს საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ჰქონდა სურვილი შეეძინა ნაკვეთი მშობლიურ სოფელ კურსებში და 1992 წელს თხოვნითაც მიმართა ადგილობრივ ხელმძღვანელობას. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო სახელის მქონე გენერლისთვის მისსავე მშობლიურ სოფელში, სადაც კომუნისტების დროს სკოლას მისი სახელი მიენიჭა, არ გამოიძებნა ასეთი მიწის ნაკვეთი. სხვათა შორის, წელს 9 მაისს, როდესაც ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავი მთელმა მსოფლიომ იზეიმა, ლოგინადჩავარდნილმა გალაქტიონ ალფაიძემ მოსფლიოს უამრავი კუთხიდან მიიღო ოფიციალური მისალოცი, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა მისი მშობლიური საქართველოდან...

# საქართველოში ყაზახური ბანკის წარმომადგენლობა გაიხსნა



ყაზახური ბანკის წარმომადგენლობის პრეზენტაციაზე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველოში ყაზახური "ბანკ ტურან ალემის" წარმომადგენლობა გაიხსნა. წარმომადგენლობის გახსნის პრეზენტაცია გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა.

"ბანკ ტურან ალემის" კონტრაქტორი კომპანიის Silk Road Group-ის წარმომადგენლის თათა კვაჭაძის ინფორმაციით, ყაზახური ბანკის ფილიალის გახსნა ორ ქვეყანას შორის საქმიანი ურთიერთობის გაღრმავების მაჩვენებლია. მისი ინფორმაციით, სს "ბანკ ტურან ალემი" ერთ-ერთი ლიდერია იმ კომპანიებს შორის, რომლებმაც დსთ-ს ქვეყნებში საბანკო სისტემა ჩამოაყალიბეს. ბანკის აქტივები 5 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს, ხოლო კაპიტალი 600 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს. მისი აქციონერია რამდენიმე მსხვილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი. ბანკის წარმომადგენლობის გახსნამდე ოთხი თვით ადრე, ქართულ Silk Road Group-თან ერთობლივად, ბანკი "BTA Silk Raoad Bank" დაფუძნდა. "BTA Silk Raoad Bank"-ის აქციათა 49 პროცენტი "ბანკ ტურან ალემის" კუთვნილებაა, ხოლო აქციათა 51 პროცენტი - Silk Road Group-ის.

თათა კვაჭაძის განცხადებით, ბანკის წარმომადგენლობის, ისევე როგორც "BTA Silk Raoad Bank"-ის საქმიანობის პრიორიტეტები, ქვეყანაში ახალი წარმოებების განვითარების მიზნით საშუალოვადიანი დაფინანსების განხორციელებაა, ამასთანავე, ექსპორტ-იმპორტის დაკრედიტება, იპოთეკური კრედიტების გაცემა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება.

**24 საათი**

# აფხაზეთის პატიმრები სასჯელს რუსეთში მოიხდიან

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზი პატიმრების რუსეთის ციხეებში სასჯელის მოსახდელად გადაყვანის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია.

პირველ ეტაპზე ეს შეიძლება იყოს ვლადიმირის ოლქის ციხეები, რომელთა ხელმძღვანელებმა აფხაზი პატიმრების ვლადიმირში გადაყვანა აფხაზეთის პარლამენტის სპიკერს ნუგზარ აშუბას თავად შესთავაზეს. ამჟამად, აღნიშნული საკითხის ტექნიკური მხარეების მოგვარებით აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროა დაკავებული, და როგორც ამ უწყებაში აცხადებენ, საქმე დადებითად გადაწყდება.

აფხაზი პატიმრების რუსეთის ციხეებში გადაყვანის პერსპექტივაზე ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ საუბრობდნენ. მაშინ ეს საკითხი პრემიერმა ანქვაბმა წამოჭრა. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ინიციატივის გამო დაიმსახურა ანქვაბმა აფხაზური კრიმინალური სამყაროს გულისწყრომა და რამდენიმეჯერ თავდამსხმელთა სამიზნეც გახდა. პატიმრების რუსეთში გამწესების მოტივები სხვადასხვაა. პირველ რიგში, ეს აფხაზეთის ციხეებში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი ვითარებაა.

უფრო ზუსტად კი, აფხაზეთში ერთადერთი ციხეა, სოფელ დრანდაში. მიუხედავად შს სამინისტროს არაერთი მცდელობისა, დრანდის ციხეში წესრიგი დაემყარებინა, დღემდე იქ მყოფი პატიმრები ნარკოტიკებს, ალკოჰოლს და ა.შ. თავისუფლად შოულობენ. იყო შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულებს დროებით სახლებშიც კი უშვებდნენ. რუსეთში ასეთი ფუფუნება არ იქნება. ამიტომ, ამ წამოწყების ინიციატორები აფხაზი პატიმრების რუსეთში გამწესებას დამნაშავეთა სამყაროსთან ეფექტური ბრძოლის დამატებით საშუალებად მიიჩნევენ. ძალიან ცოტას თუ მოუნდება რუსეთის ციხეში მოხვედრა.

პატიმართა ტრანსპორტირებას აფხაზეთის ბიუჯეტი დააფინანსებს, თუმცა, ციხეში სასჯელს ისინი რუსეთის ხარჯზე მოიხდიან.

# კომისიამ სამახსოვრო მონეტის დიზაინის ესკიზი ვერ შეარჩია

*ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმმართველოს ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის სამახსოვრო მონეტების თემატიკის განსაზღვრისა და დიზაინის შერჩევის კომისიამ ვერ გამოავლინა სამახსოვრო მონეტის ესკიზის გამარჯვებული ავტორი. მონეტის ავერსზე ქართული წეს-ჩვეულების - მევენახეობა-მეღვინეობის ამსახველი ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო გამოსახული. კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით, ავტორებს წარმოდგენილი ესკიზების სრულყოფისათვის დამატებითი დრო მიეცემათ.*

სამახსოვრო მონეტის დამზადება საქართველოს ეროვნულ ბანკს პოლონეთის ზარაფხანამ შესთავაზა და ამ პროექტის მთლიანად დაფინანსებაც აღუთქვა. რაც შეეხება აღნიშნულ პროექტში ეროვნული ბანკის როლს, იგი თითოეულ რეალიზებულ მონეტაზე, საკომისიოს სახით, 2 ევროსა და 100 ცალ მონეტას უფასოდ მიიღებს. პოლონეთის ზარაფხანა ქართული წეს-ჩვეულებების ამსახველ 20 ათას ცალ სამახსოვრო მონეტას მოჭრის და მთელი მსოფლიოს მასშტაბით თვითონვე გაავრცელებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განცხადებით, პოლონური მხარის წინადადება ხელს შეუწყობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ ქართული კულტურის პროპაგანდას. მისი შეფასებით, პროექტი ასევე ხელსაყრელია ფინანსური თვალსაზრისითაც.

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და პოლონეთის ზარაფხანას შორის თანამშრომლობის ტრადიცია მკვიდრდება - უკვე გაფორმებულია კონტრაქტი 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით 50 ათასი ცალი სამახსოვრო მონეტის მოჭრის თაობაზე. დღეისათვის უკვე მოჭრილია 5 ათასი ცალი, რის შედეგადაც, ეროვნულმა ბანკმა კონტრაქტით გათვალისწინებული 10 ათასი ევროს მოცულობის საკომისიო და ასევე 200 მონეტა მიიღო უფასოდ. აღნიშნული მონეტა, რომლის ერთ მხარეს ქართული ხუთჯვრიანი დროშაა გამოსახული, მთელ მსოფლიოში უკვე ვრცელდება, რაც პროექტს, დამატებით, საქართველოს პოპულარიზაციის დატვირთვას აძლევს.

**24 საათი**

# მონეტების დამზადების სურვილი 10-მა ზარაფხანამ გამოთქვა

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვის კომისიამ 50 თეთრისა და ერთი ლარის ნომინალის მონეტების დამზადების მსურველი 7 ქვეყნის 10 ზარაფხანის განაცხადი მიიღო. მათ შორისაა ისეთი ცნობილი კომპანიები, რომლებიც ევროს (EUR), გირვანქა სტერლინგისა (GBP) და სხვა ვალუტების ფულად ნიშნებს ამზადებენ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტების მოჭრისათვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა ევროპის, აზიის, ავსტრალიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 34 ქვეყნის 41 ზარაფხანას შესთავაზა.

50 თეთრისა და ერთი ლარის ნომინალის მონეტების მოჭრის სურვილი გამოთქვეს შემდეგმა კომპანიებმა:

ბერლინის ზარაფხანამ (Munze Berlin); პოლონეთის ზარაფხანამ (Mennica Polska); საფრანგეთის ზარაფხანამ (Monnaie de Paris); ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანამ (Koninklijke Nederlandse Munt); შტუტგარტის ზარაფხანამ, გერმანია (Staatliche Munzen Baden-Wurttemberg); ვეზელის ზარაფხანამ, გერმანია (Vacuumatic Maschinen); ზარაფხანამ "ფობჯოი", ბრიტანეთი (Pobjoy Mint); ავსტრიის ზარაფხანამ (Munze Osterreich); ჩეხეთის ზარაფხანამ (Divize Ceska Mincovna); ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანამ (Royal Mint).

კონკურსში გამარჯვებული ზარაფხანების მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით გამოვლინდება. საკონკურსო მოთხოვნებით, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტულია მონეტების მოჭრის ოპტიმალური ვადა, მისი დამზადებისათვის გასაწევი ხარჯები და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საქართველოს ეროვნული ბანკი ქართული ფულის ყველა ნიშანს ახალი, ერთიანი კონცეფციითა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული წესების მიხედვით დაამზადებს. სამომავლოდ კი მიმოქცევაში დღეს არსებული ფულადი ნიშნები "ფულის ერთიანი ოჯახის კონცეფციას" დაექვემდებარება. **24 საათი**

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბადასორი" 11-იდან 12 საათამდე

პოლონეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის მეუღლე კინგა ნეტმან-მულტანოვსკა





წამყვანი: გაგა ფორჩხიძე/რაგი გარსევანიშვილი
სტუმრები: კინგა ნეტმან-მულტანოვსკა (პოლონეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის მეუღლე)
ნატალია ეორომილსკაია (რადიო "პოლონიას" რუსული რედაქციის ხელმძღვანელი)

კინგა ნეტმან-მულტანოვსკა: ელჩის მეუღლეს საკმაოდ დიდი მოვალეობის ვალდებულებები და ფუნქციები აქვს. ალბათ პირველ რიგში მეუღლის მხარდაჭერა.
მე პირადად მიწევს ყოველდღიური სტატუსით კულტურასთან დაკავშირებული ამბების და პრობლემების მოგვარება. ვცდილობ რომ ის ვაკუუმი რაც არსებობს პოლონეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობებში რაღაცნაირად შევავსო.
ამჟამად ვამზადებთ საინტერესო გამოფენას (კერძოდ ერაზმ ჩოლეკის ფოტოგამოფენას), რომელიც გაიმართება ამა წლის 31 აგვისტოს, 12.00 საათზე ქარვასლაში, რომელიც მიეძღვნება "სოლიდარობის" 25 წლისთავს და რაც მთავარია მე თბილისში დავიწყე პიანინოზე დაკვრის შესწავლა.

ნატალია ეორომილსკაია: პოლონეთში რადიო ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. პირადად ჩემი დღე იწყება რადიოს მოსმენით. თქვენი რადიოს იდეა საუბრის დროს ინტერვიუს აღება,საუბარი სტუმართან არის ერთ-ერთი პოლონურ რადიოშიც,რომელიც საკმაოდ საინტერესოდ ისმინება. ამიტომაც ჩემთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო თქვენ საუბარში დასწრება

## მოკლედ

### საქართველოს პრეზიდენტი ყაზანში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა სამიტს დაესწრება

26 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყაზანში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა სამიტს დაესწრება.

აღნიშნული ინფორმაცია გუშინ საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა დაადასტურა. სავარაუდოდ, ყაზანში დსთ-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაც გაიმართება. ყაზანის სამიტის ზუსტი დღის წესრიგი ჯერჯერობით უცნობია. თუმცა ცნობილია, რომ იგეგმება რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტების პირდაპირი შეხვედრა.

ყაზანში სამიტის ჩატარება ამ ქალაქის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყდა. **ინტერპრესნიუსი**

### აფხაზეთის რკინიგზის შესწავლა ქართული მხარის გარეშე მიმდინარეობს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ვოლსკის განცხადებით, აფხაზეთის რკინიგზის შესწავლა ცალმხრივად მიმდინარეობს; აფხაზურმა მხარემ რუსეთიდან ოცამდე სპეციალისტი ჩამოიყვანა, რომლებიც თვითნებურად, ქართული მხარის გარეშე, რკინიგზის ფსოუ-ენგურის მონაკვეთის ინფრასტრუქტურას ეცნობიან.

"რაც არ უნდა მოიმოქმედონ, ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის გამჭოლი რკინიგზა უჩვენოდ ვერ აღდგება. თავად იდეაც კი განუხორციელებელია, რადგან აფხაზეთში ქართველი სპეციალისტების არშეშვება დევნილ საზოგადოებაში უნდობლობას ბადებს. აფხაზეთის რკინიგზის რეაბილიტაციის საკითხის ტორპედირებას თავად აფხაზური მხარე ახდენს," - აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

როგორც ცნობილია, სამმხრივი შეთანხმების თანახმად, აფხაზეთში რკინიგზის ფსოუ-ენგურის მონაკვეთის შესასწავლად თორმეტი ქართველი სპეციალისტი უნდა ჩასულიყო, რომელთაგან სამი სპეციალისტის შეშვებაზე აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა. სეპარატისტებმა მიზეზად ის დაასახელეს, რომ აღნიშნული პირები აფხაზეთიდან დევნილები იყვნენ. აფხაზური მხარის გადაწყვეტილების საპირისპიროდ ქართულმა მხარემ, პროტესტის ნიშნად, აფხაზეთში არც ერთი სპეციალისტი აღარ გაამგზავრა.

თავად რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს რკინიგზის სააგენტოში აცხადებენ, რომ აფხაზეთის რკინიგზის ინფრასტურქტურის შესწავლა 1 ოქტომბრისთვის დასრულდება, რის შემდეგაც სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო ფინანსური საკითხები გადაწყდება. **მედიანიუსი**

### საქართველოში ფრინველის გრიპის გავრცელების საშიშროება არსებობს

საქართველოში ფრინველის გრიპის ეპიდემიის გავრცელების რეალური საშიშროება არსებობს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცნობით, იმ რეგიონებიდან, სადაც დაავადების ეპიდემიაა დაფიქსირებული (ჩინეთი, მონღოლეთი, ციმბირის რეგიონი, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები), გარეული ფრინველები, შესაძლოა, საქართველოშიც გადმოფრენილიყვნენ.

ნადირობის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით სამინისტრო მონადირეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს და მათ საყურადღებოდ აცხადებს, რომ აუცილებელია ნანადირევი ფრინველის ბუმბულის, შიგთავსის და სხვა ნარჩენების დაწვა-განადგურება და ხორცის მაღალ ტემპერატურაზე, ჰიგიენური წესით დამუშავება. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ 17 სექტემბრისთვის დაგეგმილ პრაიმერში მონაწილეობას ხუთივე მაჟორიტარულ ოლქში, სულ მცირე, 10 ათასამდე ამომრჩეველი მიიღებს.

"კონსერვატიული პარტიის" წევრის, პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის აზრით, საბოლოო ჯამში, ყველაფერი პრაიმერში მონაწილე პარტიების სტრუქტურების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ძიძიგურმა უარყო მოსაზრება, თითქოს ოპოზიციამ პრაიმერისთვის საარჩევნო უბნების გამსხვილებას პროპაგანდისტული მიზნებით მიმართა, ანუ იმისთვის, რომ ტელეკამერებს გამსხვილებულ უბნებში ხალხის მასა დაეფიქსირებინა.

"მსგავსი პრობლემა ჩვენ არა გვაქვს. საარჩევნო უბნების გამსხვილება მხოლოდ საარჩევნო პროცესის გამარტივების მიზნით მოხდა," - თქვა ზვიად ძიძიგურმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭომ შესაძლოა "კონსერვატორების" თხოვნა, შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლების დანიშვნასთან დაკავშირებით, ვერ დააკმაყოფილოს.

ევროსაბჭოს შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლების დანიშვნა "კონსერვატორების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა სთხოვა.

როგორც ცნობილი გახდა, ევროსაბჭო აღნიშნულ თხოვნას მხოლოდ იმის გამო ვერ დააკმაყოფილებს, რომ შუალედურ არჩევნებზე იგი მონიტორინგს არ ახორციელებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა საქართველოში ჯონ ტაფტმა გუშინ კანცელარიაში საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

გუშინვე ჯონ ტაფტმა რწმუნებათა სიგელი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გადასცა.

ამერიკის კონგრესში მისი კანდიდატურის განხილვის დროს ტაფტმა განაცხადა, რომ საქართველოში მისი მოღვაწეობის პრიორიტეტი კონფლიქტების მოგვარება იქნება. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ისწავლე უპრობლემოდ

პირველი გვერდიდან



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სესხის ასაღებად კი თქვენ რამდენიმე ძალიან მარტივი პროცედურის გავლა მოგიწევთ. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ თქვენ ამ კავშირის წევრი უნდა გახდეთ, რისთვისაც თქვენ თვეში, საწევროს სახით, 2 ლარის გადახდა მოგიწევთ. თუმცა, მანამდე კავშირის წევრობისათვის თქვენ პირველად ერთჯერად სადეპოზიტო თანხას - 50 ლარს და ასევე ერთჯერად გადასახადს - 3 ლარს გადაიხდით.

ამ პროგრამის მხარდამჭერი რამდენიმე სერიოზული ბიზნეს-კომპანიაა. ერთ-ერთი მათგანი "სახალხო ბანკია", რომელიც ამ პროექტში მონაწილეობასა და, რაც მთავარია, უპროცენტო სესხების გამოყოფას რამდენიმე მიზეზის გამო დათანხმდა. **"ჩვენ თავიდანვე ძალიან მოგვეწონა ეს ინიციატივა. მართალია, ის საქართველოში ახალია, თუმცა მსგავსი პროგრამები ევროპის ქვეყნებში უკვე კარგა ხანია, დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ პროექტის საშუალებით ჩვენ გავდივართ სტუდენტების სეგმენტზე, რითაც ჩვენი კლიენტურა მნიშვნელოვნად გაიზრდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელმა ლადო ციმაკურიძემ.

კომპანია "მაგთიკომი" ამ პროექტის კიდევ ერთი მხარდამჭერია, რომელიც განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის უკლებლივ ყველა წევრს ახალი "ბალი" ბარათებით, ფიჭური ტელეფონებით და ხარისხიანი კავშირით უზრუნველყოფს.

ამ ეტაპზე, უფრო ზუსტად, ახალ წლამდე განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირი 3000 წევრის მიღებას ვარაუდობს. დავით დობორჯგინიძის პროგნოზით, წევრების როდენობა 2006 წლის ბოლოსთვის, სულ მცირე, 9 ათასამდე გაიზრდება. მისივე თქმით, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით მიზნობრივი ჯგუფი, ანუ ისინი, ვინც შესაძლოა, განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის მომსახურებით ისარგებლებენ, 232 ათასს აღწევს.

2005/2006 სასწავლო წლისთვის კავშირის წევრების რეგისტრაცია 1 სექტემბრამდე გრძელდება. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ განათლების ერთიანი ეროვნული კავშირის ცხელ ხაზს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 899 16 01 18

ცნობისათვის: განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირი ახლად დაარსებული ორგანიზაციაა, რომელმაც ხსენებული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო, კერძოდ, თბილისის მერიის, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მხარდაჭერა ძალიან მალევე მოიპოვა.

# "ბიძია მიშა! დაგვიბრუნე ჩვენი თანაკლასელი," - ითხოვენ გატაცებულის თანაკლასელები

პირველი გვერდიდან

გატაცებასთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს ამბობენ შიდა ქართლის ძალოვანი უწყების წარმომადგენლებიც; სამაგიეროდ, გუშინ კომენტარები ე.წ. სამხრეთ ოსეთის და რუსმა სამშვიდობოებმა გააკეთეს. რამდენიმე დღის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებას, რომ ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას 11 წლის გენო პეტრიაშვილის გატაცებასთან პირდაპირი კავშირი აქვს, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგანგებო დავალებათა მინისტრი ბორის ჩოჩიევი კატეგორულად უარყოფს.

"ქართულ მხარეს სჩვევია, ყველაფერში სამხრეთ ოსეთი დაადანაშაულოს. ბავშვის გატაცების მიღმა არანაირი პოლიტიკური მოტივი არ დგას", - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. ოსური მხარის ინფორმაციით, გატაცებულის მამას სპარტაკ პეტრიაშვილს ქართულ და ოსურ მხარეებთან ბიზნესკავშირი აქვს. ამიტომ, სეპარატისტი მინისტრი ვარაუდობს, რომ ეს გატაცება მის ბიზნესს უკავშირდება. ჩოჩიევი აცხადებს, რომ სპარტაკ პეტრიაშვილი ნავთობპროდუქტებით ვაჭრობს.

"ქართულმა მედიამაც კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ გამტაცებელთა მანქანას ქართული ნომრები ჰქონდა. ამდენად, საჭირო არ არის პოლიტიკური სარჩულის ძებნა და ქართულ მხარეს ურჩევნია, თავის კრიმინალს მიხედოს", - აცხადებს ბორის ჩოჩიევი.

მისივე თქმით, ბავშვის ძებნის ოპერაციას პირადად აკონტროლებს და მასში, ოსი სამართალდამცველების გარდა, რუსი სამშვიდობოებიც მონაწილეობენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ქართველი სამართალდამცავების განცხადებას სოფელ ნულიდან ბავშვის გატაცებაში რუსი სამშვიდობოების მონაწილეობის შესახებ უპასუხისმგებლოს უწოდებს.

"ასეთი შინაარსის უპასუხისმგებლო განცხადებები, გაუგებრობების გარდა, არაფერს მოიტანს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სიტუაციაში გაურკვევლად ცდილობს, ტრადიციული "იარლიყი" მიაკეროს ოსურ მხარეს და, რაც მეტად აღმაშფოთებელია, რუს მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც რეგიონში მშვიდობის დაცვას უზრუნველყოფენ", - ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყების აზრით, ასეთი განცხადებები ქართველებსა და ოსებს შორის უნდობლობას აღვივებს, კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის დაძაბვას უწყობს ხელს და ნეგატიურად აისახება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. გარდა ამისა, განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პრობლემების გადაჭრას დემონსტრაციულად გაურბის - ქართველი სამართალდამცავები უარს ამბობენ ოთხმხრივი ფორმატით შეთანხმებულ მოქმედებაზე, რომლისკენაც მათ ოსურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისია მოუწოდებს.

11 წლის ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებით ოსების და რუსების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს საქართველოს შს სამინისტრო გუშინ არ გამოხმაურებია. როგორც ჩანს, ქართული მხარე ძველ პოზიციაზეა - შს სამინისტროს ინფორმაციით, გატაცებასთან პირდაპირ კავშირში არიან ოსი კრიმინალები, რომლებსაც რუსი მშვიდობისმყოფელები მფარველობენ. ამის თქმის მიზეზი კი ნათელია - გამტაცებლებმა გენო პეტრიაშვილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს და მათთვის ხელი არც ოს სამართალდამცველებს შეუშლიათ და არც რუს მშვიდობისმყოფელებს.

**24 საათი**

# შვიდპროცენტიანმა ბარიერმა, შესაძლოა, დაიწიოს

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიერ ამ ბოლო დროს გაკეთებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით საშემოდგომო სესიის არაოფიციალურ დღის წესრიგში (ოფიციალურს პარლამენტის ბიურო საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე დაამტკიცებს) ამ საკითხის განხილვა გათვალისწინებული არ არის. ეს კი შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ხელისუფლებას ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული ჯერაც არ აქვს.

საბოლოო გადაწყვეტილებას, ალბათ, პრეზიდენტი სააკაშვილი მიიღებს. შვიდპროცენტიანი ბარიერით ნამდვილად არსებობს იმის საფრთხე, რომ ერთპარტიული პარლამენტი ჩამოყალიბდეს. მით უფრო, რომ დღეს ოპოზიციურ პარტიებს საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვთ და ნაკლებსავარაუდოა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ნებისმიერმა მათგანმა დამოუკიდებლად შეძლოს შვიდპროცენტიანი ბარიერის დაძლევა.

შესაბამისად, ერთპარტიული პარლამენტი ქვეყანას არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდებს, პირველ რიგში - დასავლეთის თვალში. შესაბამისად, ხელისუფლებისთვის ბარიერის დაწევა გარდაუვალი აუცილებლობაა.

# „ერთობლივი გამარჯვება" დღეიდან იწყება

თამარ მაისურაძე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია "ჯი-არ-დი-სი ჯგუფმა" და სააქციო საზოგადოება "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპმა" ყოფილი ნარკოლოგიური ინსტიტუტის შენობის ტერიტორიის 3 მილიონ 10 ათას ლარად შეძენას "ერთობლივი გამარჯვება" უწოდეს.

ამ ტერიტორიაზე 30-35 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ და, როგორც თავად ამბობენ, იქ აშენებული შენობა-ნაგებობები "თბილისი-სიტის" შემადგენელი ნაწილი იქნება.

ინვესტორებმა პრესკონფერენცია გუშინ, სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" გამართეს, ხოლო ერთობლივი საქმის დაპროექტებას დღეიდან იწყებენ. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლაშა ოშხნელმა განაცხადა, **"სავარაუდოდ, აშენდება ოფისები და საცხოვრებელი შენობები. ეს იქნება "მიქსი", სადაც სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა მოყრის თავს."**

ცნობისთვის, ყოფილი ნარკოლოგიური ინსტიტუტის შენობა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე გაყიდა.

"ჯი-არ-დი გრუპმა" საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირება 2004 წლიდან დაიწყო. კომპანიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უძრავი ქონების შეძენა და განვითარება საქართველოში.

სამი უცხოური საინვესტიციო კომპანიის მიერ შექმნილი "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპი" საქართველოს ბაზარზე 2005 წელს გამოჩნდა. კომპანია ახორციელებს საშუალო და მსხვილი ბიზნესის ფინანსირებას და ინვესტირებას მშენებლობაში, უძრავი ქონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

**P.S.** ყოფილი ნარკოლოგიური ინსტიტუტის "ხარჯზე" ახალი პროექტები იქმნება, რომლებიც თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარებას ისახავს მიზნად. თუმცა, რამდენად მომგებიანია შენობის ყოფილი მფლობელებისათვის შენობის გარეშე დარჩენა, ცალკე თემაა, რომლის შესახებაც ჩვენს გაზეთში უახლოეს მომავალში ვიმსჯელებთ.

# აფხაზებს არ სურთ, ქართულ ფულზე სოხუმის ხედები გამოისახოს

"აფხაზ მხატვართა კავშირს არ მიუღია წერილი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და რომც მიიღოს, ამ კონკურსში მონაწილეობაზე უარს იტყვის," - აცხადებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ნუგზარ ლოგუა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის წინადადების საპასუხოდ, რომლის თანახმადაც, აფხაზ მხატვრებს ქართული მხარე სთავაზობს, მონაწილეობა მიიღონ 200-ლარიანი ბანკნოტის დიზაინის კონკურსში. ახალ ბანკნოტზე საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სურათი იქნება გამოსახული, ხოლო მის მეორე მხარეს სოხუმის ხედები იქნება აღბეჭდილი. "აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა გამოისახოს ერთი ქვეყნის დედაქალაქი მეორე ქვეყნის ვალუტაზე. ეს იგივეა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სოხუმი ან მოსკოვის კრემლი თავის დოლარზე რომ გამოსახოს," - აცხადებს სეპარატისტული სოხუმის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე ილარიონ არგუნი. **მედიანიუსი**

მოკლედ

# დსთ-ს ქვეყნების საგარეო უწყებათა მეთაურების შეხვედრა მოსკოვში

პირველი გვერდიდან

**აღვნიშნო, რომ შეხვედრა საკმაოდ რთული იყო, გვქონდა კამათიც, მაგრამ მან შედეგად ერთიანი გადაწყვეტილების მიღებაც გამოიღო,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ სერგეი ლავროვმა.

რუსეთის მხარემ არ მოიწონა უკრაინის წინადადებები, სამიტის დღის წესრიგში შეეტანათ საკითხები საზღვრების დემარკაციის, ენერგომატარებლებისათვის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის, თავისუფალი სავაჭრო ზონისა და სოციალური დაცვის მექანიზმების შემუშავების შესახებ. რუსული მხარის თქმით, აღნიშნული საკითხები ხანგრძლივ შესწავლას მოითხოვს და ოფიციალურ კიევს ეს უნდა გაეთვალისწინებინა. სანაცვლოდ კი, სერგეი ლავროვმა უკრაინელ კოლეგას სამიტის დღის წესრიგში პრიორიტეტულ საკითხად დსთ-ს რეფორმირების შეტანა შესთავაზა.

გარდა ამისა, ოფიციალური კრემლი სრულიად ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზეც ალაპარაკდა, რომელიც "საერთაშორისო ნორმების შესაბამისი და მსოფლიო პრაქტიკით გამყარებული იქნება". თუ ადრე რუსეთი მეზობელ ქვეყნებთან "განსაკუთრებული ურთიერთობების" მომხრე იყო, მომავალში ეს უნდა შეიცვალოს, - აცხადებს რუსული მხარე. ანალოგიური გზავნილებია რუსული საინფორმაციო სააგენტოს "რიანოვოსტ"-ის მიერ გავრცელებულ კრემლის ინკოგნიტო მაღალჩინოსნის ინტერვიუში. როგორც ამ ინტერვიუშია აღნიშნული, რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკის კარდინალურ შეცვლას აპირებს. გარდა ამისა, უნდა შეიცვალოს ევროპასა და აშშ-სთან ურთიერთობების ხასიათიც.

**"პოლიტიკის ახალი მიმართულების არსი სულაც არ არის რუსეთის ე.წ. გავლენის აღდგენა, რომელიც თითქოსდა დაიკარგა "ნარინჯისფერი რევოლუციის" შედეგად; იგი არც არსებობდა - უბრალოდ, ადგილი ჰქონდა ჩვენთვის ფინანსური და ბუნებრივი რესურსების გამოძალვას. ჩვენი მიზანია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ევროპულ სტრუქტურებსა და ვაშინგტონთან ურთიერთობებს უფრო ცივილიზებული ხასიათი შევძინოთ. ჩვენ გვეყოფა მოთმინება საიმისოდ, რათა ავუხსნათ ჩვენს პარტნიორებს დსთ-დან, რომ მოსკოვი არ აპირებს საბჭოთა იმპერიის აღდგენას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს ისეთი მდგომარეობა, როდესაც მას უწევს მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკების სუბსიდირება, რაშიც მისთვის წამგებიან ფასად ენერგორესურსების გაცემა იგულისხმება,"** - აცხადებს ზემოაღნიშნულ ინტერვიუში კრემლის მაღალჩინოსანი.

ანუ, რუსული მხარის შეფასებით, ურთიერთობების ახლებურ ჭრილში გააზრება მხოლოდ თანამეგობრობის გადარჩენის მიზნით ხდება, რომელიც დსთ-ს სივრცეში უკანასკნელ ხანს გახშირებული "ფერად-ფერადი" რევოლუციების გამო კრიზისს განიცდის.

მოსკოვში მიმდინარე შეხვედრაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობას არ იღებდა. შეხვედრას მინისტრის მოადგილე ესწრებოდა...

# ებრაული ახალშენების ევაკუაცია დასრულდა



*ნასახლარზე ებრაელმა მენაშენეებმა ლოზუნგებიღა დატოვეს*

*პალესტინის მთავრობის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს ებრაული ახალშენების ევაკუაციის დასრულება მიულოცა. ორივე სახელმწიფო მიესალმება ებრაული სექტორის მშვიდობიან "გასუფთავებას".*

თიკო მაჭარაშვილი

ღაზას სექტორის ევაკუაციის შემდეგ ისრაელის სამხედრო ძალები გუშინ იორდანიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სანურისა და ჰომეშის ახალშენებში შევიდნენ, რათა რეგიონიდან მოსახლეობა და ებრაელი ჯარისკაცები გაეყვანათ. 5 000 ჯარისკაცსა და პოლიციელს წინ უძღოდა ბულდოზერი, რომელმაც სანურის ახალშენის მთავარი შესასვლელი კარი დაანგრია.

"**თუ ექსტრემისტები ჩვენი ძალების წინააღმდეგ ცეცხლს გახსნიან, ჩვენ ყველანაირ საშუალებას გამოვიყენებთ, რათა განვაიარაღოთ რადიკალი ებრაელები**," - განაცხადა იორდანიის პოლიციის უფროსმა ისრაელ იცაკმა.

სანურის ახალშენში ისრაელის სამხედრო ძალებს კვერცხებისა და პომიდვრების სროლით შეხვდნენ. ახალშენიდან გასვლის მოწინააღმდეგე მოსახლეობამ გზებზე საბურავებს ცეცხლი წაუკიდა. ისრაელის სამხედრო ძალების ინფორმაციით, ერთ ჯარისკაცს ნასროლი ქვით თვალი დაუზიანდა.

სანურის ახალშენის ევაკუაცია ინსტიტუტის შენობიდან ოცი რადიკალი ჯარისკაცის გაყვანით დაიწყო, შემდეგ კი ისრაელის სამხედრო ძალები სინაგოგაში შევიდნენ. ებრაელმა მორწმუნეებმა მოახერხეს სინაგოგის წმინდა კიდობნიდან გამოტანილი თორას ხელნაწერების თან წაღება.

ისრაელის სამხედრო ძალებსა და ექსტრემისტებს შორის შეტაკება კომისარიატის შენობაში მოხდა. ათობით რადიკალმა ჯარისკაცმა შენობის სახურავი დაიკავა. კომისარიატის ფასადზე გააკრეს წარწერა: "**წყეულიმც იყოს, ვინც თავის ძმებს განდევნის საკუთარი კერიდან!**"

"**ჩვენ ბევრნი ვართ სახურავზე, მაგრამ არ გვაქვს იარაღი,**" - განაცხადა პინას ვალერშტეინმა, ახალშენის ერთ-ერთმა მმართველმა, მასთან ერთად კომისარიატის სახურავზე იმყოფებოდა რადიკალი მემარჯვენე დეპუტატი არიე ელდადი, რომელმაც მოსახლეობას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა.

იორდანიის ჩრდილოეთით მდებარე მეორე ებრაულ ახალშენში ასობით მესაზღვრისა და პოლიციელის შესვლა, რომელსაც წინ უძღოდა ბულდოზერი, ებრაელი ჯარისკაცების მიერ გზებზე დაღვრილმა ზეთმა შეაფერხა. როდესაც ჰომეშის ახალშენს ავტობუსების ქარავანი მიუახლოვდა, ებრაელმა ახალგაზრდებმა საბურავებს ცეცხლი წაუკიდეს.

გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ისრაელის სამხედრო ძალებმა შეძლეს სანურისა და ჰომეშის ახალშენებიდან მოსახლეობის მშვიდობიანი გაყვანა. საგულისხმოა, რომ განიმისა და კადიმის მოსახლეობამ საცხოვრებლები თავისი ნებით დატოვა.

პალესტინის მთავრობის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს ღაზას სექტორის 21 ახალშენიდან და იორდანიის ჩრდილოეთით მდებარე ოთხი ებრაული ახალშენიდან მოსახლეობის ევაკუაციის დასრულება მიულოცა.

ებრაული ახალშენების "გასუფთავების" მშვიდობინი პროცესის დამთავრებას მიესალმება ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონიც. ისრაელის პრემიერ-მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არიელ შარონისა და მაჰმუდ აბასის შეხვედრა მალე შედგება, ჯერჯერობით კი, შეხვედრის ზუსტი თარიღი არ არის შეთანხმებული.

პალესტინისა და ისრაელის მთავრობამ ებრაული ახალშენებიდან მოსახლეობის მშვიდობიანი გაყვანა და მათი გადაცემა პალესტინისთვის "გაბედულ და ისტორიულ" გადაწყვეტილებად შეაფასა.

## აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს

2005 წლის 10 სექტემბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.** ცნობებისათვის დარეკეთ: 43-30-71.

## შესწორება

**გაზეთ "24 საათის" 10 აგვისტოს ნომერში ს.ს. "ლანჩხუთის გაზის" მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 29 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ტუღუში**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით საკონსულტაციო მომსახურება - "სსიფ-ის საქმინობის ამსახველი საინფორმაციო აბრების დამზადება"

ამ განცხადებით სსიფ იწვევს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რათა წარმოადგინონ ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ. შაკვალიფიკაციო ფორმების მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე, შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03
ელ ფოსტა: gsif@gsif.ge, გბაჯელიდზე@გსიფ.გე

2005 წლის 18 აგვისტოდან, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 17 საათამდე, საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 3 სექტემბერი.


## უნიკალური წინადადება

სააქციო საზოგადოებების „საინვესტიციო კომპანია „ქანი და კომპანია" და „დამოუკიდებელი ქართული მედიისა და ბიზნესის ჯგუფის" საწესდებო კაპიტალი 1,5 მლნ ლარია. რეალურად კი დაახლოებით 8 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების აქტივებს ფლობენ.

ქობულეთში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესში მონაწილეობისათვის სააქციო საზოგადოებები გთავაზობენ ქობულეთში ალმაშენებლის ქ. №295 არსებული სანატორიო „კოლხეთის" ნომრების შეძენას.

ჩვენი შემოთავაზება ასეთია: ჩვენი კომპანია მის ... საფასურის 10%-ის წინასწარი გადახდით მიიღებს შეკვეთებს სანატორიო „კოლხეთის" ორადგილიანი სტანდარტული ნომრების შეძენაზე. ერთი ნომრის ფასი იქნება 15 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ინვესტორისათვის, რომელიც ერთად აიღებს ბევრ ნომერს, გათვალისწინებულია ფასდაკლება: 5-დან 10-მდე ნომრის მყიდველისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 12 ათასი აშშ დოლარი, 10 და მეტი (25-მდე) ნომრის მყიდველისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 10 ათასი აშშ დოლარი, 25 და მეტი (50-მდე) ნომრის შემძენს 1 ნომერი დაუჯდება 8 ათასი აშშ დოლარი. 50 და მეტი (100-მდე) ნომრის მყიდველისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 6 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 100 ნომრის ერთად შემძენისათვის 1 ნომრის ფასი იქნება 5 ათასი აშშ დოლარი.

ნომრის საკუთრებაში გადაფორმებასთან ერთად მყიდველის საკუთრებაში გადაფორმდება მიწის შესაბამისი ფართი.

ნომრების რაოდენობა შეზღუდულია. შეზღუდულია აგრეთვე წინადადებების მიღებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების ვადა 2005 წლის 28 აგვისტოს 17 საათამდე.

წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების გარანტი არის ორივე კომპანია მთელი თავისი აქტივებით. მათ შორის მიღებული ფულით ნაყიდი პრივატიზებული ქონებით.



ქავჭავაძის 74, მე-3 სართული „ქანი და კომპანია"
ტელ: 22-69-48, 877 43 86 73 არჩილი, 899 8 71 73 ნოდარი.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 414

**2005 წლის 22 აგვისტო**
**ქ. თბილისი**

"2005-2006 სასწავლო წლისათვის საჯარო სკოლებში სასწავლო დღეებისა და არდადეგების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობის, სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების შესახებ"

"ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ც" ქვეპუნქტის, "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. 2005 - 2006 სასწავლო წლისათვის საჯარო სკოლებში სასწავლო დღეების მინიმალური ოდენობაა 180 და მაქსიმალური - 190 დღე დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, ხოლო არდადეგების მინიმალური ხანგრძლივობაა - 71 და მაქსიმალური - 81 დღე დასვენებისა და უქმე დღეების გარდა.

2. საჯარო სკოლებმა 2005 - 2006 სასწავლო წელს სწავლა დაიწყონ და დაამთავრონ, ასევე დაადგინონ არდადეგები თანდართული გრაფიკის შესაბამისად (დანართი N1).

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

***მინისტრი ალექსანდრე ლომაია***

- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მართვის სისტემის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი რგოლებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება.

კანონით "ზოგადი განათლების შესახებ" სკოლა ხდება თვითმმართველი ერთეული, რომელიც იმართება დემოკრატიულად და საჯაროდ არჩეული სამეურვეო საბჭოების მეშვეობით. სკოლის კომპეტენციაში სრულადაა გადასული საფინანსო, სამეურნეო სახსრების განაწილება და მეტიც - სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინარჩუნებს მართვის ზოგიერთ, მხოლოდ მისთვის აუცილებელ ატრიბუტს, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენა და მის შესრულებაზე ზედამხედველობა, მასწავლებლის მინიმალური ხელფასის და მაქსიმალური დატვირთვის განსაზღვრა, აკადემიურ კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლივობის განსაზღვრა.

2005-2006 სასწავლო წელს საჯარო (სახელმწიფო) სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრა არანაკლებ 180 და არაუმეტეს 190 სასწავლო დღის ოდენობით დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, ხოლო არდადეგების ხანგრძლივობაა არანაკლებ 71 და არაუმეტეს 81 დღისა დასვენებისა და უქმე დღეების გარდა.

- რაც შეეხება სასწავლო წლის დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრას, 2005-2006 სასწავლო წელს იგი განისაზღვრა საქართველოს რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობების ორგანოებთან, განათლების მართვის ტერიტორიულ რგოლებთან შეთანხმებით.

ასეთი პრაქტიკა მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ესპანეთში, აშშ-ში და იგი ეფუძნება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას რეგიონული თავისებურებების გათვალისწინების პრინციპს.

- ამდენად, საქართველოს ყველა რეგიონს ჰქონდა საშუალება სასწავლო წლის დაწყება-დასრულებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება საკუთარი სამეურნეო, საბიუჯეტო რესურსებისა და რეგიონის კლიმატურ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე მიეღო.

დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 22 აგვისტოს №414 ბრძანებით

| მხარე | ვარიანტი | I მესამედი | II მესამედი | III მესამედი | ზამთრის არდადეგები | საგაზაფხულო არდადეგები | რაიონები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | IV | 26.09.05–23.12.05 | 09.01.06–07.04.06 | 11.04.06.-23.06.06 | 26.12.05–06.01.06 | 08.04.06-10.04.06 | |
| აჭარა | IV | 26.09.05–23.12.05 | 09.01.06–07.04.06 | 11.04.06-23.06.06 | 26.12.05–06.01.06 | 08.04.06-10.04.06 | ბათუმი, ქობულეთი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი |
| კახეთი | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | ყვარელი, საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი, თელავი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, სიღნაღი |
| | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | წალკა, დმანისი |
| ქვემო ქართლი | III | 19.09.05–23.12.05 | 09.01.06–31.03.06 | 10.04.06–23.06.06 | 26.12.05–06.01.06 | 01.04.06–07.04.06 | რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი |
| | | | | | | | გორი, ხაშური, ქარელი, კასპი |
| შიდა ქართლი | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | თიღვის თემი, ქურთის თემი, ერედვის თემი |
| გურია | II | 12.09.05–15.12.05 | 09.01.06.–24.03.06 | 03.04.06–23.06.06 | 18.12.05–06.01.06 | 27.03.06–31.04.06 | ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი |
| მცხეთა-მთიანეთი | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | თიანეთი, ყაზბეგი, ახალგორი, მცხეთა, დუშეთი |
| იმერეთი | II | 12.09.05–15.12.05 | 09.01.06.–24.03.06 | 03.04.06–23.06.06 | 18.12.05–06.01.06 | 27.03.06–31.04.06 | ტყიბული, ხონი, ხარაგაული, ვანი, ზესტაფონი, ქუთაისი, ჭიათურა, თერჯოლა, საჩხერე, წყალტუბო, სამტრედია, ბაღდათი |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | ცაგერი, ონი ამბროლაური, |
| | II | 12.09.05–15.12.05 | 09.01.06–24.03.06 | 03.04.06–23.06.06 | 18.12.05–06.01.06 | 27.03.06–31.04.06 | ლენტეხი |
| სამცხე-ჯავახეთი | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა |
| | III | 19.09.05–23.12.05 | 09.01.06–31.03.06 | 11.04.06–23.06.06 | 26.12.05–06.01.06 | 01.04.06–07.04.06 | ბორჯომი |
| | I | 05.09.05–25.11.05 | 28.11.05-10.03.06 | 20.03.06–16.06.06 | 24.12.05–06.01.06 | 13.03.06–17.03.06 | მესტია |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | III | 19.09.05–23.12.05 | 09.01.06–31.03.06 | 11.04.06–23.06.06 | 26.12.05–06.01.06 | 01.04.06–07.04.06 | აბაშა, მარტვილი, წალენჯიხა, ხობი, ჩხოროწყუ, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, |

# EUROPEAN COMMISSION DELEGATION TO GEORGIA
## პროექტის მენეჯერი - საქართველო

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში აცხადებს კონკურსს პროექტის მენეჯერის თანამდებობაზე თბილისის ოფისში. პროექტის მენეჯერი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ძირითადად იმუშავებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე საქართველოს სასამართლო სფეროში. ამჟამად ევროკომისია Aახორციელებს პენიტენციალური და პროკურატურის რეფორმირების პროექტებს და გეგმავს აღნიშნული პროექტების გაფართოვებას. სამომავლოდ გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული და ინსტიტუციური გაძლიერებისა და რეფორმირების ხელშეწყობასთვის. ამ და სხვა შესაბამისი ინსტიტუტების ეფექტურობისა და გამჭირვალობის გაუმჯობესების მიზნით, გათვალისწინებულია აგრეთვე, მიმდინარე პროექტების გაგრძელება გრძელვადიანი და შეთანხმებული სტრატეგიის ფარგლებში. ამ სექტორის ხელშეწყობისთვის. მიზნით გამოსაყენებელი პროგრამები მოიცავს ევროკომისიის სხვადასხვა ინსტრუმენტს (მათ შორისაა ტასისი (TACIS), სწრაფი რეაგირების მექანიზმი (RRM), ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში (EIDHR)). პროექტის მენეჯერი მონაწილეობას მიიღებს პროექტის მართვის სრულ ციკლში და ერთობლივად იმუშავებს ევროპელ და ქართველ პროექტის მენეჯერებთან, როგორც ევროკომისიის წარმომადგენლობის პროექტების (საოპერაციო) განყოფილების თანამშრომელი.

**სამუშაო მოთხოვნები**
**განათლება და ტრეინინგი:**
საუნივერსიტეტო განათლება იურისპრუდენციაში

**სამუშაო გამოცდილება:**
შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში სამართლის სფეროში მუშაობის და/ან არასამთავრობო სექტორში 5 წლის გამოცდილება სასამართლო სფეროში; უპირატესობა მიენიჭება გამოცდილებას ორივე სექტორში.

- პროექტის მართვის გამოცდილება, უპირატესობა მიენიჭება პროექტის სრული ციკლის მართვის დადასტურებულ გამოცდილებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების კარგი ცოდნა; უპირატესობა მიენიჭება სამუშაო გამოცდილებას აღნიშნულ სფეროში.

- სახელმწიფო მართვის მუშაობის გამოცდილება; უპირატესობა მიენიჭება სამუშაო გამოცდილებას სახელმწიფო მართვის რეფორმირების საკითხებში.

საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება; უპირატესობა მიენიჭება ევროკავშირის ინსტიტუტებთან მუშაობის გამოცდილებას.

- ქართული და ინგლისური ენების (ზეპირი და წერილობითი) სრულყოფილი ცოდნა; უპირატესობა მიენიჭება რუსული ენის ცოდნას.

**პირადი თვისებები:**
- მრავალნაციონალურ გარემოში მუშაობის სურვილი
დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობის უნარი
- პასუხისმგებლობის გრძნობა და ინიციატივის გამოვლენის უნარი

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი CV და მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე 2005 წლის 9 სექტემბრამდე.

ადმინისტრაციის განყოფილება
ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში
ნინო ჩხეიძის ქ. 38 თბილისი, საქართველო
ფაქსი: (995 32) 94 37 68, ელ ფოსტა: ann.svanidze@cec.eu.int

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. გურჯაანის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს შემდეგი მომსახურების შესყიდვაზე:

ა) ქ. გურჯაანის ცენტრალური ქუჩების, სკვერების, გაზონების, ბაღებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნაგვის გატანა 11460000 კვ.მ.

ბ) ქალაქის ქუჩებში განლაგებული ნაგვის ურნებიდან ნაგვის გატანა 70 ურნა.

2. მომსახურების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოდგინონ სატენდერო აპარატში 2005 წლის 12 სექტემბრის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის პრ. N4, ქ. გურჯაანის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა, ქონების ყადაღის არ არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (რაიონული სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)

დ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობა, რომ იგი არის ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა რაიონული სასამართლოდან);

- ცნობა, რომ იგი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

5. თუ იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ დააკამყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე.

6. დაგვიანებით შემოსულ საკავალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 /ორასი/ ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 20 სექტემბრის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის პრ. N4, ქ. გურჯაანის გამგეობის შენობა, III სართული.

8. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N4, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ: (8 253) 2-26-18; თეიმურაზ ბაჩუკაშვილი - (899) 60-40-38

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 413

2005 .18 . 08

## საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მე-10 პუნქტის საფუძველზე, ადგილზე შემოწმდა ლიცენზიის მაძიებელთა მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობა სალიცენზიო პირობებთან.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" IX თავით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესითა და "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გაიცეს:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიაშ.პ.ს. სკოლა "ჯი-ვი-ენ"-ზე.

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია:

ბ.ა) შ.პ.ს. "საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლაზე;"

ბ.ბ) შ.პ.ს "კავკასიის უნივერსიტეტზე;"

ბ.გ) შ.პ.ს. "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტზე;"

გ) დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია:

გ.ა) რეგისტრირებულ კავშირზე "ტიხრული მინანქრის შემსწავლელ სკოლაზე;"

გ.ბ) შ.პ.ს. "საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრზე."

დ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია შ.პ.ს. ბათუმის მრავალდარგოვან კოლეჯ "მედიცინაზე."

2. უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაში ლიცენზიის გაცემაზე უარი ეთქვას შ.პ.ს. "ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალს."

3. შეტანილი იქნეს ცვლილებები უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში:

ა) შ.პ.ს. "შუამავალის" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საშუალო სკოლა "იმედი" იწოდება შ.პ.ს. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახ. საშუალო სკოლა "იმედად." საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქუთაისი, ასათიანის ქ. N 96;

b) შ.პ.ს. "ივ. ჯავახიშვილის სახ. ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიცეუმის" იურიდიული მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის N 11-ა;

გ) შ.პ.ს "გორდას" მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა იწოდება "ბათუმის საერო ელიტარულ სკოლად". შპს "გორდას" "ბათუმის საერო ელიტარულ სკოლის" იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის N17;

დ) შ.პ.ს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს "VITA"-ს ეწოდა შპს "უნივერსიტეტი "VITA;"

ე) შ.პ.ს "პროფესიული კავშირების თბილისის უნივერსიტეტს" ეწოდა შ.პ.ს "თბილისის უნივერსიტეტი", უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაზისუბნის მე-2 მ/რ, ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი "პოლისი;"

ვ) შ.პ.ს. გურჯაანის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის მრავალდარგოვან კოლეჯს ეწოდა შ.პ.ს. გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი;

ზ) "შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახ. ქ. ბათუმის სამართლის ინსტიტუტს" ეწოდა "შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახ. ქ. ბათუმის იურიდიული აკადემია."

4. ლიცენზირების სამმართველოს დაევალოს ამ ბრძანების 1-ლი, მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა დადგენილი წესით.

*მ ი ნ ი ს ტ რ ი ალექსანდრე ლომაია*

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით

"სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ," "საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით მომართეს:

1. შ.პ.ს. "ევრამ" - ითხოვს შ.პ.ს. "ევრას" მიერ დაფუძნებული შ.პ.ს. "ხაშურის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა პანსიონისათვის" ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.

2. შ.პ.ს. "დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი კოლეჯმა" - ითხოვს საშუალო პროფესიული განათლების ლიცენზიას და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.

# კ ო ნ კ უ რ ს ი

## საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე

"დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე ცხადდება კონკურსი შემდეგი პირობებით:

აღნიშნული თანამდებობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება; საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება; საქართველოს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სექტორის ზოგადი ცოდნა; კავშირგაბმულობის სფეროს რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა. სასურველია, რომ კანდიდატი ფლობდეს ინგლისურ ენას.

საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე პირი აირჩევა ორი წლის (სრული განაკვეთით) ვადით. არჩეული პირი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი. მასზე გავრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც ვრცელდება თანამდებობის პირზე "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საზოგადოებრივი დამცველის ხელფასი 4 250 ლარია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიაში ამა წლის 19 სექტემბრის 19.00 სთ-მდე უნდა წარადგინოს:

- წერილობითი განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ავტობიოგრაფია;

- ორი სარეკომენდაციო წერილი;

უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საკონკურსო კომისიის მისამართია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი. ი. მაჩაბლის ქ. N11. ტელ: 899548393. საკონტაქტო პიროვნება: ნანა ცხადაძე.

# კ ო ნ კ უ რ ს ი

## საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე

"დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე ცხადდება კონკურსი შემდეგი პირობებით:

აღნიშნული თანამდებობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება; საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება; საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემისა და ბუნებრივი გაზის სექტორის ზოგადი ცოდნა; ენერგეტიკის სფეროს რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა. სასურველია, რომ კანდიდატი ფლობდეს ინგლისურ ენას.

საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე პირი აირჩევა ორი წლის (სრული განაკვეთით) ვადით. არჩეული პირი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი. მასზე გავრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც ვრცელდება თანამდებობის პირზე "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საზოგადოებრივი დამცველის ხელფასი, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელფასის 3/5-ის ოდენობით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიაში ამა წლის 19 სექტემბრის 19.00 სთ-მდე უნდა წარადგინოს:

- წერილობითი განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე

ავტობიოგრაფია

- ორი სარეკომენდაციო წერილი

უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საკონკურსო კომისიის მისამართია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი. ი. მაჩაბლის ქ. N11. ტელ: 899548393. საკონტაქტო პიროვნება: ნანა ცხადაძე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გობრონიძის ქუჩის ქვედა მონაკვეთის (თემქის გადასახვევიდან შეშელიძის ქუჩამდე) კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების (მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლით) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი (42600 მ$^2$), ტროტუარის საფარი (9950 მ2), ბორდიურები (5540 გრძ.მ), გამოსაცვლელია კანალიზაციის D-1000მმ რ/ბეტონის მილი - 220 გრძ.მ, მოსაწყობია 4 საკონტროლო ჭა, გამოსაცვლელია წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის ფოლადის მილი D-600მმ -292 გრძ.მ და D-300მმ - 825 გრძ.მ, მოსაწყობია სხვადასხვა დიამეტრის ( D-150მმ, D-100მმ, D-75მმ) წყალსადენის განშტოებები საერთო სიგრძით - 177 გრძ.მ; სახანძრო ჰიდრატი - 7 ცალი, მოსაწყობია სხვადასხვა დიამეტრის 31 საკონტროლო ჭა, დასამუშავებელია III კატეგორიის გრუნტი 9000მ3, შესაზიდია 6300მ3 ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 30 ნოემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 8 სექტემბრის 12 საათიდან 9 სექტემბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

4.2. **ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.2 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

***5***. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 12 სექტემბრის 12 საათიდან 13 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***7.*** ტენდერში შესაძლებელია გამოვლენილ იქნას ორი გამარჯვებული: როგორ საგზაო, ასევე მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციის სამუშაოებზე.

***8.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე -სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

# განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის ამბულატორიის რეაბილიტაცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის სოფელ აწყრურის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სოფელ აწყურის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ახალციხის რაიონი,**
**სოფელ აწყურის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:მალხაზ ქებაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 25 აგვისტოდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელ აწყრურის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:მალხაზ ქებაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 22 სექტემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

# განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ სარგვეშის საშუალო სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის სოფელ სარგვეშის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სოფელ სარგვეშის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელ სარგვეშის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:გელა კიკნაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 22 აგვისტოდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელ სარგვეშის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:გელა კიკნაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 19 სექტემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს კომერციულ კონკურსს

**1.ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N41-ში მდებარე ყოფილი საექსპლუტაციო სარემონტო სახელოსნოს შენობის პრივატიზებისათვის.**

საპრივატიზებო ობიექტის ფართი შეადგენს **160,09 კვმ-ს, განთავსებულია 1280 კვმ** მიწის ფართობზე.

საპრივატიზებო ობიექტის გასაყიდი ფასი შეადგენს **4811,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო მიწის ფართობის ნორმატიული **ფასი 3179,0 აშშ** დოლარის ექვივალენტს ლარებში.

საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს **7990,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში.

**მყიდველი ვალდებულია:**

**უზრუნველყოს გასაყიდი ფასის 20 ) "ბეს" სახით შეტანა**

**აანაზღაუროთ: ტოპოგეგმის დამზადებისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება 31,78 ლარი ჩარიცხოთ შპს "ქუთმიწსერვისი" 2001" -ს N467033 ანგარიშზე მიკროსაფინანსო ბანკის საშუალებით მფო N220102125 საინ. კოდი N212797231.**

**2.ქ. ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზ. პირველი შეს. N8-ა-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებისათვის.**

საპრივატიზებო ობიექტის ფართი შეადგენს **99,90 კვმ-ს**, ხოლო ფარდულის ფართი ზომით 4,50 ჩ 10,20 ს, განთავსებულია **183 კვმ** მიწის ფართობზე.

საპრივატიზებო ობიექტის გასაყიდი ფასი შეადგენს **3419,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო მიწის ფართობის ნორმატიული **ფასი 482,0 აშშ** დოლარის ექვივალენტს ლარებში.

საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს **3901,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში.

მყიდველი ვალდებულია:

**უზრუნველყოს გასაყიდი ფასის 20 ) "ბეს" სახით შეტანა**

**აანაზღაუროთ: ტოპოგეგმის დამზადებისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება 38,84 ლარი ჩარიცხოთ შპს "ქუთმიწსერვისი" 2001" -ს N467033 ანგარიშზე მიკროსაფინანსო ბანკის საშუალებით მფო N220102125 საინ. კოდი N212797231.**

**3.ქუთაისში, გუგუნავას ქ. N15-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებისათვის.**

საპრივატიზებო ობიექტის ფართი შეადგენს **78,18 კვმ-ს**, განთავსებულია გუგუნავას **ქ. N15-ში, საერთო სარგებლობის 1136 კვმ** მიწის ფართობზე.

საპრივატიზებო ობიექტის გასაყიდი ფასი შეადგენს **1945,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო მიწის ფართობის ნორმატიული **ფასი 55,0 აშშ** დოლარის ექვივალენტს ლარებში.

საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს **2000,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში.

**ობიექტი იჯარით გაცემულია 2005 წლის 12 სექტემბრამდე.**

**4. ქ. ქუთაისში, სადგურ რიონის ტერიტორიაზე მდებარე ასფალტის N1 ქარხნის პრივატიზებისათვის.**

საპრივატიზებო ობიექტი განთავსებულია **1500 კვმ** მიწის ფართობზე.

საპრივატიზებო ობიექტის გასაყიდი ფასი შეადგენს **16667,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო მიწის ფართობის ნორმატიული **ფასი 3500,0 აშშ** დოლარის ექვივალენტს ლარებში.

საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს **20167,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში.

**მყიდველი ვალდებულია:**

საპრივატიზებო ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის მან'ილზე, (წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურის შედეგები უქმდება და "ბეს" თანხა არ ბრუნდება).

**5.ქ. ქუთაისში, გრიშაშვილის ქ. N30-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებისათვის.**

საპრივატიზებო ობიექტის ფართი შეადგენს **546,57 კვმ-ს**, განთავსებულია **გრიშაშვილის ქ. N30-ში , 772 კვმ** მიწის ფართობზე.

საპრივატიზებო ობიექტის გასაყიდი ფასი შეადგენს **66807,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო მიწის ფართობის ნორმატიული **ფასი 2703,0 აშშ** დოლარის ექვივალენტს ლარებში.

საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს **69510,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში.

მყიდველი ვალდებულია:

**უზრუნველყოს გასაყიდი ფასის 50 ) "ბეს" სახით შეტანა**

უზრუნველყოს:

**ობიექტზე დამაგრებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ხე-ნარგავების შენარჩუნება.**

**არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის დასკვნის საფუ'ველზე, აუცილებლობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე განთავსებული N25 სატრანსპორტო ჯიხურის ადგილმონაცვლეობა რუსთაველის გამზ. N18-ში მდებარე ტერიტორიაზე არსებულ დამხამარე ნაგებობებში (შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა), შპს "კომუნპროექტის დასკვნის საფუ'ველზე შეადგენს მიახლოებით 100 000 ლარს**

**თანამედროვე ტიპის არასამრეწველო ობიექტის აგება, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება-შესრულება და მშენებლობის დაწყება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში .**

მშენებლობის დამთავრება საკუთრებაში გადაცემის შემდეგ არა უგვიანეს 3 წლის ვადაში.

ამ მისამართზე მცხოვრები ლტოლვილების (2 ოჯახი) არანაკლებ თითოეულიოჯახის 3000 დოლარით დაკმაყოფილება.

აანაზღაუროს გეგმა-ანაზომის დამზადებისათვის გადახდილი ღირებულება 50,0 ლარი. ამასთან შპს "კომუნპროექტს" ჩაურიცხოთ საბალანსო ღირებულების გაანგარიშებისათვის გადახდილი თანხა 150 ლარი (სს საქართველოს ბანკის ქუთაისის ფილიალი 008467912 ანგარიშზე, საგადასახადო კოდი 212672053 მფო 220101526)

6. **ქ. ქუთაისში, ვარლამიშვილის და ლერმონტოვის ქ. N2-4-ში მდებარე ყოფილი სახან'როს შენობის პრივატიზებისათვის.**

საპრივატიზებო ობიექტის ფართი შეადგენს **1573,67 კვმ-ს**, ხოლო დამხმარე სათავსო ზომით 3,45 ჩ 5,20 განთავსებულია **3120 კვმ** მიწის ფართობზე.

საპრივატიზებო ობიექტის გასაყიდი ფასი შეადგენს **153337,0 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო მიწის ფართობის ნორმატიული **ფასი 11865,0 აშშ** დოლარის ექვივალენტს ლარებში.

საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს **165202 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში.

**მყიდველი ვალდებულია:**

**უზრუნველყოს "ბეს" სახით 60000 აშშ. დოლარის ექვივალენტით ლარებში შეტანა**

**უზრუნველყოს:**

**ობიექტზე დამაგრებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ხე-ნარგავების შენარჩუნება.**

**თანამედროვე ტიპის არასამრეწველო ობიექტის აგება, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება-შესრულება და მშენებლობის დაწყება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში .**

მშენებლობის დამთავრება საკუთრებაში გადაცემის შემდეგ არა უგვიანეს 3 წლის ვადაში.

**ობიექტის ინტერიერის და ექსტერიერის კეთილმოწყობა მთავარი არქიტექტორის სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტით.**

**-სახან'რო სამსახურის ცენტრალური სადისპეჩერო პუნქტის მონტაჟისათვის საჭირო თანხა 5000 ლარის გადახდა.**

აანაზღაუროს გეგმა-ანაზომის დამზადებისათვის გადახდილი ღირებულება 50 ლარი. ამასთან შპს "კომუნპროექტს" ჩაურიცხოს საბალანსო ღირებულების გაანგარიშებისათვის გადახდილი თანხა 400 ლარი (სს საქართველოს ბანკის ქუთაისის ფილიალი 008467912 ანგარიშზე, საგადასახადო კოდი 212672053 მფო 220101526).

შენიშვნა :

1, 2, 3-ში მყიდველი ვალდებულია:

საპრივატიზებო ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6თვის მან'ილზე ყოველკვარტალურად თანაბარწილიოდენობით. (წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურის შედეგები უქმდება და "ბეს" თანხა არ ბრუნდება).

4, 5, 6-ში მყიდველი ვალდებულია:

საპრივატიზებო ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის მან'ილზე, (წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურის შედეგები უქმდება და "ბეს" თანხა არ ბრუნდება).

### კონკურსში მონაწილეობის წესი და პირობები

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუZლიათ:**

**საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 )-ზე ნაკლებია.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

**ა. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;**

**ბ. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ;**

**გ.** ცენტრალიზებული შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე (200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი. კოდი 220101107,კოდი 302003000). **"ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი ქონების გამოსასყიდი საწყისი ფასის არანაკლებ 10)-ის ოდენობით (იმ ობიექტებში, რომლებშიც "ბე"-ს თანხა არ არის მითითებული), ამასთან "ბე"-ს თანხა ითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.**

**დ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;**

**ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;**

**ვ. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუ'ნებლო დოკუმენტაციის ასლს.**

**ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი ი'ენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.**

**კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და გამოსასყიდ ქონებაზე მაქსიმალური ფასის გადახდა. ამასთან რეალიზებისას კონკურსში გამარჯვებულმა უნდა დაფაროს სამმართველოს მიერ გაწეული დანახარჯები.**

**კონკურსში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საპრივატიზებო ქონებას.**

**თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიეცემა საკუთრების მოწმობა და ობიექტზე დადგენილი " ბე" არ დაუბრუნდება.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 29 აგვისტოს 15 საათამდე.**

**კონკურსი ჩატარდება და მასში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტები გაიხსნება 2005 წლის 30 აგვისტოსს 15 საათზე**

მისამართი: ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. 9 საქართველოს ეკონომიკურუ განვითარების სამინისტროს ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივარიზების სამმართველო

ტელ.: 4-32-31, 4-84-34

**კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება (დამოწმდეს სანოტარო წესით) და საპრივატიზაციო ქონების მიღება-ჩაბარების აქტი ქუთაისის სამმართველოსთან.**

**კონკურსის ფორმით აღებული სახელმწიფო ქონების გამოყენებისას მყიდველი ვალდებულია დაიცვას საკონკურსო პირობებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს "მეიჯარეს".**

**ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში "მყიდველი" ღებულობს გაფრთხილებას წერილობითი სახით და ჯარიმდება დარჩენილი გადაუხდელი ქონების ღირებულების და გადასახდელი ქირის 0,1)-ით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე.**

**ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად "მეიჯარის" მიერ, "მყიდველს" არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.**

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 479 მუხლის შესაბამისად საკუთრების უფლების გადაცემის სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს იხდის მყიდველი.**

**ქონების საბოლოო გამოსყიდვამდე მყიდველს გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება გაყიდოს, გაცვალოს და გააქირავოს, იჯარით გასცეს, გირაოში ჩადოს გამოსასყიდი ქონება, ამასთან იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლაპატრონობაზე.**

**-კონკურსში გამარჯვებული გახდება ლიკვიდირებული საწარმოს ვალდებულებათა სამართალმემკვიდრე.**

**კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია:**

**- უზრუნველყოს შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის მოწყობა ქალაქის მთ. არქიტექტორის სამსახურთან შეთანხმებული პროექტით.**

**-გასაყიდ სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საველე გაზომვების, გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გამიჯვნის აქტისა და საკადასტრო რუქის შედგენის ხარჯებს იხდის სახელმწიფო ქონების მყიდველი. მასვე ეკისრება ობიექტზე მიწის დამაგრების საკითხი დაარეგულიროს კანონმდებლობით მიღებული პირობების დაცვით.**

**-დაიცვას ქვეყანაში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, წესების, ჰიგიენური ნორმატივების, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრ'ანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები საწარმოს დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთათვის შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის, ქ. ქობულეთში რუსთაველის ქუჩა-სარკინიგზო გადასასვლელის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 7 სექტემბრის 900 საათიდან 2005 წლის 7 სექტემბრის $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 9 სექტემბრის 1000 საათიდან 2005 წლის 9 სექტემბრის $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ბოლნისის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა. სს "საქართველოს ბანკი" ა/ა 3303000001) აცხადებს ღია ტენდერს სოფ. რატევანში მდინარე მაშავერაზე ხიდის მშენებლობის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი სამუშაოების აღწერილობა:

1. ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანთან მდინარე მაშავერაზე საქვეითო-საჭაპანო ხიდის მშენებლობა ითვალისწინებს მდინარე მაშავერაზე რკინა-ბეტონის განაპირა ბურჯებსა და სამ შუალედურ ბურჯზე ანაკრები რკინა-ბეტონის საგზაო ფილებით (18 მ) საქვეითო საჭაპანო ხიდის მოწყობას, ხიდის სიგანე 3 მ.

მშენებლობის მუშა პროექტით გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება ბაზალტის ლოდებისა და ყორე ქვის ყრილით.

2. მიწოდების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 (ასოცი) დღემდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 8 სექტემბრიდან 11 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106 (რაიონის გამგეობის შენობა, I სართული), სატენდერო კომისიის აპარატში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე სახელმწიფო ლიცენზიას (ასლი).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 15 სექტემბრამდე, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106 (რაიონის გამგეობის შენობა).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, რაიონის გამგებლის მოადგილე ბ. რეხვიაშვილი (ტელ. 899 155770), მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106 (რაიონის გამგეობის შენობა, III სართული).

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე,*
*რაიონის გამგებლის მოადგილე ბ. რეხვიაშვილი*




## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ღია ტენდერს სააგენტოს საჭიროებისათვის **უცხოური წარმოების მაღალი ხარისხის საოფისე ავეჯის შესასყიდად** (განსაზღვრული რაოდენობის I კატეგორიის საკონფერენციო მაგიდა, I, II და III კატეგორიის მაგიდა, ტუმბო, დიდი და პატარა საოფისე კარადა, სამეული, დიდი და პატარა სავარძელი, სკამი) და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილება.

2. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 28 სექტემბრიდან 2005 წლის 31 ოქტომბრამდე, ყოველი მოთხოვნიდან 5 დღის განმავლობაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ორი ეგზემპლარი უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 8 სექტემბრიდან 9 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი) და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

ე) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილის იურიდიული სტატუსი, რეგისტრაციის ადგილი, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი, სატენდერო წინადადების ხელმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ);

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული მიწოდების საერთო მოცულობა ლარებში:

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | | |

- საქონლის მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები:

| N | მოწყობილობა-დანადგარის სახე | აღწერილობა, მოდელი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

- მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2005 წლის 15 სექტემბრის 17 საათამდე, სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**გიორგი უშვერიძე** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
E-mail : glemonjava@napr.gov.ge,
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური.

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი განათლების ობიექტების შენობათა დაზიანებული ბრტყელი გადახურვის აღდგენა-შეკეთებითი და შიდა სარემონტო სამუშაოების (სანიტარული კვანძების შეკეთება, ელექტრო გაყვანილობა, კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ტენდერი შედგება 10 (ათი) ლოტისაგან:

1 ლოტი - ვაკე-საბურთალოს რაიონის ობიექტების შენობათა დაზიანებული ბრტყელი გადახურვის აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები.

2 ლოტი - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ობიექტების შენობათა დაზიანებული ბრტყელი გადახურვის აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები.

3 ლოტი - მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ობიექტების შენობათა დაზიანებული ბრტყელი გადახურვის აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები.

4 ლოტი - გლდანი-ნაძალადევის რაიონის ობიექტების შენობათა დაზიანებული ბრტყელი გადახურვის აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები.

5 ლოტი - ისანი-სამგორის რაიონის ობიექტების შენობათა დაზიანებული ბრტყელი გადახურვების აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები.

6 ლოტი - ვაკე-საბურთალოს რაიონის ობიექტების შიდა სარემონტო სამუშაოები.

7 ლოტი - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ობიექტების შიდა სარემონტო სამუშაოები.

8 ლოტი - მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ობიექტების შიდა სარემონტო სამუშაოები.

9 ლოტი - გლდანი-ნაძალადევის რაიონის ობიექტების შიდა სარემონტო სამუშაოები.

10 ლოტი - ისანი-სამგორის რაიონის ობიექტების შიდა სარემონტო სამუშაოები.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ქალაქ თბილისის განათლების ობიექტების (სკოლები და ბაღები) შესაკეთებელი ბრტყელი სახურავების საერთო ფართია 27 000 კვ.მ.

განათლების ობიექტებში ლესვითი, სამღებრო, სადურგლო, ელექტროტექნიკური, სან. ტექნიკური და სხვა საერთო სამშენებლო სამუშაოების შესრულება.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 9 სექტემბრის 10 საათიდან 11 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

a) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმე;

b) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაცის გაცემის ბიუროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

a) ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ;

b) ცნობა შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაცის გაცემის ბიუროდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

გ) ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს 2005 წლის 16 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი სიხარულიძე - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-73-15, 899-71-51-00 მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.

**სატენდერო კომისია.**



დავით კოვზირიძის სვეტი

# საფეხბურთო არქიტექტურის საიდუმლოებანი

თუ მეხსიერებაში გარღვევა არ მაქვს, სტუმრად წასულ ქართველებს ჯერ არსაიდან ჩამოუტანიათ ექვსი ქულა. ვერც იმას ვიხსენებ, ანგარიშში ჩამორჩენილ საქართველოს ეროვნულ გუნდს უცხო მიწაზე თამაში შემოეტრიალებინოს - დამოუკიდებლობიდან მოყოლებული ჩვენს ფეხბურთელებს პირველი გოლის პანიკური შიში ჰქონდათ და ეს გოლოფობია კომპლექსადაც ექცათ.

თუმცა აზიაში ამ მხრივ აშკარა გამონათებები იყო: ახალგაზრდებმა ათი კაცით მოუგეს ცამეტ ყაზახს (11 ფეხბურთელი+გულშემატკივრები+მსაჯი), ხოლო უფროსებმა, რომელთაგან ნაწილი მოწამლული გავიდა მოედანზე, მასპინძლებს საყლაპავი მილიდან ამოაცალეს გემრიელი ლუკმა.

წინა სვეტში სწორედ იმაზე ვილაპარაკე, რის ხარჯზეც ქართველებმა ყოფილი ნათესავი ქვეყანა შედეგიანობის მხრივ წარმატებით მოიარეს. ეს არის გუნდის და მისი თითოეული წევრის განწყობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა - ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილი სპორტის, და თუ გნებავთ, ცხოვრებისა.

ყაზახეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ მიამბეს, რომ გაიოზ დარსაძემ ამ საფეხბურთო ელემენტს უდიდესი ყურადღება დაუთმო, სათითაოდ ელაპარაკა აპრიორი არცთუ კარგ განწყობაზე მყოფ ფეხბურთელებს, საომრად მომართა და, რაღა თქმა უნდა, სწორადაც მოიქცა, ვინაიდან დროის იმ მოკლე მონაკვეთში, რომელიც ნაკრების ხელმძღვანელობას ჰქონდა დანიშვნიდან მატჩამდე, სხვა პრობლემების ამოძირკვა თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ.

სხვა პრობლემებში ვგულისხმობ იმას, რამაც საქართველოს ნაკრები აგრერიგ დააჩაჩანაკა - არასაკმარის კადრებს, შესაბამისი ტაქტიკური გეგმების სიმწირეს, რგოლებს შორის მორღვეულ კავშირებს. ერთი სიტყვით, წმინდა წყლის პროფესიულ საკითხებს, რომელთა გაშალაშინება-მოპირკეთებას ძალიან ბევრი მუშაობა, მონდომება და დრო ესაჭიროება. ისევე, როგორც განწყობას, რომელიც დიადი საქმეების საკეთებლად იქნება საკმარისი.

ყაზახთა თუნდაც სტუმრად ძლევა კი ნაღდად არაა დიადი საქმე. თუმცა, ნურც იმას მივაწვებით, რომ ექვსი ქულა ჯიბეში გვედო. **თანამედროვე ფეხბურთში ჯიბეში არავის არაფერი უდევს!** მაგალითებს ნუ ჩამოვთვლით, ძალიან ბევრია.

არადა, ნახევარი ჯორჯია რომ ამას აწვება? თამაშამდე ერთი ამბავი იყო ატეხილი, ორივე ნაკრებმა დიდი ანგარიშით რომ არ მოიგოს, მოგვეჭრა თავი და ეგ არისო. კი მაგრამ, მეტი რაღა უნდა მოგვეჭრას? რეიტინგში ასეულს გაღმა ვართ, ყველასთან ვაგებთ კლუბიან-ნაკრებიანად, შესარჩევ ციკლებში ქულების ნაცვლად ბუზებს ვითვლით და მაინც იმხელა ამბიცია გვაქვს, 25 წლის წინ რომ გვქონდა.

კი, ყაზახეთის ნაკრები სუსტია, მაგრამ საქართველოსი რა, ძლიერია? არავითარ შემთხვევაში! ჩვენი გუნდი ყაზახეთზე ოდნავ ღონიერია. მდიდარი ტრადიცია აქვს, ორი-სამი კაცი მაგარ გუნდში თამაშობს (ისიც იშვიათად) და... მორჩა, ეგ არის და ეგ.

თუ რატომ მოხდა ისე, რომ ერთ დროს საათივით აწყობილი საფეხბურთო მეურნეობა დღეს საშინელ მდგომარეობაშია და ამით გამოწვეული სათამაშო ხარისხიც სირცხვილის მეტს არაფერს იწვევს, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. თუმცა, მაინც გავიმეორებ - იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთი იყო ყველასგან მივიწყებული და ფეხებზე დაკიდებული უპატრონო ციგნის ბავშვი, რომელიც თავად შოულობს პურის ფულს უხამსი გზებით. ეს კატეგორია კარგად ვერასდროს იცხოვრებს, თუ მომვლელი არ გამოუჩნდა. და თუ გამოუჩნდა, ის რატომღაც მაინც არავის მოსწონს. იბადება შური, ბოლმა, რადგან გარშემომყოფებს სისხლში აქვთ გამჯდარი მისი ლანძღვა-გინება.

ქართველი ქომაგი ისე შეეჩვია უარყოფით ემოციებს, რომ ინერციით ნებისმიერ სიტუაციაში ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს. ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება ეროვნული მედიის დიდ ნაწილზე, რომელიც უპრაგონოდ ლანძღავს ყველას და ყველაფერს და ამას ძალიან სუბიექტური სუნი ასდის. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჟურნალისტიკაში ყველაზე იოლად საწერი სალანძღავი მასალაა. სალანძღავი და არა კრიტიკული, რადგან ეს უკანასკნელი გარკვეულ ეთიკას, ცოდნას და საფუძვლიანობას მოითხოვს. ლანძღვას კი რა უნდა - არაფერი, გარდა ღვარძლისა.

რაც შეეხება თავად მატჩს, ამასთან დაკავშირებით ჩემ აზრს მოგახსენებთ. ნაკრებმა ითამაშა ისე, როგორც მანამდე, ოღონდ მეტი მონდომებით. საზიზღარ ფორმაშია იაშკა, ზედმეტად დამძიმებული და თავდაჯერებული ჩანდა კაპიტანი, ასევე მოსუქებულია ხიზანა. კობიაშვილი მეორე ტაიმში გაიხსნა, როცა ალადაშვილი უკვე დაღლილი იყო და, მგონი, მისი ოდიკაძით ცოტა ადრე შეცვლა უკეთესი იქნებოდა. მუჯირი საერთოდ არ ჩანდა. ცქიტამ კარგად "აკაჩავა" უხეში მეტოქე, რაც აუცილებელი იყო. მარცხნიდან და მარჯვნიდან რამდენჯერმე ხოშიანად იაქტიურეს გახოკიძემ და მენთეშაშვილმა, ხოლო გიგუშამ ჩვეული ჯიგრით იყომარა და თამაშიც მოიგო.

გუნდს აშკარად აკლდა ღერძი, რგოლების დამაკავშირებელი, ბურთის წამლები და დამჭერი. ერთი სიტყვით, მალხაზ ასათიანი, ურომლისოდაც ერთიანი მექანიზმი მოშლილი იყო - გუნდური თამაში კი ზედგამოჭრილი წამალია ყაზახეთისნაირი ყმაწვილი ნაკრებებისა.

ნაკრებს ესაჭიროება ახალი ბიჭები. მაგრამ თვითმიზანი მხოლოდ მათი სიახლე კი არა, სიკარგეც უნდა იყოს. გარდა ამისა, ეს ახალი და კარგი ბიჭები წინასწარვე მზად უნდა იყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი საქმის საკეთებლად, როგორიცაა ეროვნულ გუნდში თამაში.

ადრე ასე იყო - ახალ, მაგრამ არა კარგ ფეხბურთელებს პირველ გუნდში იძახებდნენ გამოსაფენად და შემდეგ ბნელ კლუბებში გასაყიდად. უნამუსო სუტენიორების გამო ნაკრები ვაგზლის ბოზივით ყველასთვის ღია გახლდათ და ამიტომაც ცხვირს ვერ ჰყოფდა ნორმალურ საფეხბურთო საზოგადოებაში. შედეგად გაჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც დღემდე იქნევს კუდს და რომელიც აუცილებლად უნდა მოისპოს. როგორ? ნაკრები უნდა გახდეს წმინდა ადგილი და მასში ***მხოლოდ*** პატიოსნად შერჩეულმა, სუფთა, პროფესიონალმა, ნაღდმა კაცებმა უნდა ითამაშონ.

ასე შეიქმნება საქართველოს ეროვნული გუნდის ფუნდამენტი. ზემოდან ლამაზი სახლის დაშენება კი უკვე დროისა და მონდომების ამბავია.

ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ეს სახლი.

*მომავალ შეხვედრამდე.*

# ოცნებასთან შესახვედრად

## პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

პირველი გვერდიდან

**"განწყობა ისეთი მაქვს, როგორიც უნდა მქონოდა. რაც შეუძლია ჩვენ ფონდს, ვაკეთებთ. ყველაფერი კარგად მიდის; ყველა გვერდში გვიდგას: ხელოვანი, საზოგადო მოღვაწე, ეკლესია... პატრიარქის დიდი მადლობელი ვარ, რომ დალოცა ჩვენი ბავშვები",** - განუცხადა "24 საათს" პაატა ბურჭულაძემ. მისივე ინფორმაციით, ფონდის შემდეგი საქველმოქმედო აქცია, დიდი საღამო (როგორც თავად უწოდა) 17 სექტემბერს არის დაგეგმილი. ამ დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში "დონ კარლოსი" იქნება წარმოდგენილი; სპექტაკლში ქართველ მომღერალთან ერთად ცნობილი იტალიელი ბანი ფერუჩიო ფურლანეტო იმღერებს (ფილიპის პარტიას). მანამდე, 15 სექტემბერს, ფონდი საქართველოში იტალიიის საელჩოსთან ერთად იტალიელი პიანისტის მარიზა ტანცინის მუსიკალურ საღამოს გეგმავს; რობერტ სტურუაც ამზადებს საღამოს საგანგებოდ ფონდისთვის - ორივე ღონისძიებიდან შემოსული თანხა ფონდ "იავნანას" გადაერიცხება. თავად პაატა ბურჭულაძე თბილისში 11 სექტემბერს ჩამოვა. მანამდე სახელოვანი ბანი გერმანიაში რამდენიმე სპექტაკლზე ერთდროულად მუშაობს. ფონდის საქველმოქმედო ღონისძიებები 2005 წლისთვის კი მხოლოდ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება. მათ შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას ფონდის წარმომადგენლები ზუსტი თარიღების დადგენისთანავე გაავრცელებენ.

პაატა ბურჭულაძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც ყოველთვის პირველი ეხმაურებოდა საქველმოქმედო ღონისძიებებს. მას შემდეგ კი, რაც საკუთარი ფონდი "იავნანა" დააარსა (2004 წელი), ქართველი ბანის საქველმოქმედო მოღვაწეობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ფონდის პრეზიდენტსა და მსოფლიოში აღიარებულ მომღერალს ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათი დახმარებით "იავნანა" რეგულარულად ახერხებს დაეხმაროს უდედმამო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. მათ დასახმარებლად ფონდმა დღემდე არაერთი აქცია წამოიწყო. "იავნანას" გვერდში დაუდგნენ ხელოვანებიც: ფონდისთვის პირველი შემოწირულობა ზურაბ წერეთელმა გაიღო - "სოტბის" აუქციონზე გაყიდული ნამუშევრის - "წმინდა გიორგის" თანხა მთლიანად "იავნანას" გადაეცა; გაიმართა რამდენიმე კონცერტი (მათ შორის ბერლინში, საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული), საიდანაც შემოსული თანხა ფონდმა მთლიანად ბავშვთა სახლებს გადაურიცხა;



"ერთად გადავარჩინოთ მომავალი" ის პროგრამაა, რის განხორციელებასაც ფონდი უცხოელ პარტნიორებთან ერთად ახერხებს. ქართველი მზრუნველობამოკლებული ბავშვების ბედით ამჯერად საბერძნეთის მხარე დაინტერესდა. ფონდის დახმარების სურვილი გამოთქვეს საერთაშორისო ორგანიზაცია "არგოს" პრეზიდენტმა გეორგი კეტრიდმა და პროგრამების მენეჯერმა, ჩვენმა თანამემამულემ როზა იოსიფიდმა. ქართველი ბავშვების პირველი ორმოცდაათკაციანი ჯგუფი ამჟამად საბერძნეთის საზაფხულო ბანაკში ისვენებს. გუშინ მეორე ჯგუფი (რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ მიუსაფართა სახლებში მცხოვრები ბავშვებისგან არის შედგენილი) ეგეოსის ზღვის სანაპიროზე არსებული წმინდა იოანეს სახელობის სოფელში განლაგებულ ბანაკში გაემგზავრა. საზაფხულო ბანაკის პროგრამა მრავალფეროვანია: გათვალისწინებულია გართობაც (დისკოთეკები, ექსკურსიები) და შემეცნებაც (ბერძნული ენის, კერამიკის ბერძნული მიმართულების შესწავლაც); დაესწრებიან ღვთისმსახურებას და ა.შ. პატარები ბანაკში საკუთარი ქვეყნის წარმოჩენასაც შეეცდებიან.

**"რამდენიმე წუთის წინათ ბატონი პაატა ტელეფონით მესაუბრა. ძალიან მიხარია, რომ მიემგზავრებით საბერძნეთში. საბერძნეთი უძველესი კულტურის ქვეყანაა. თქვენ გექნებათ საშუალება, გაეცნოთ ამ კულტურას, დაათვალიეროთ მუზეუმები, გამოფენები, ნახოთ ეკლესიები. ეს ძალიან შთამბეჭდავია. მე არაერთხელ ვყოფილვარ საბერძნეთში. ჩვენ მოგიმზადეთ ახალი აღთქმა. თქვენ თან გექნებათ ეს წიგნები და წაიკითხავთ. მშვიდობა და სიხარული სუფევდეს თქვენთან. განსაკუთრებით მინდა დავლოცო ჩვენი ბავშვები იმიტომ, რომ ისინი არიან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის მომავალი. მამული, ენა, სარწმუნოება - აი, ეს უნდა დაიცვან, უნდა გააგრძელონ ის გზა, რომლითაც დღემდე მოვიდნენ ჩვენი წინაპრები",** - ამგვარად მიესალმა პატრიარქი სტუმრებს. სამახსოვრო საჩუქრების გარდა, მისმა უწმინდესობამ პატარებს შთამბეჭდავი საღამოც გაუმართა: ბავშვები მღეროდნენ და ლექსებს კითხულობდნენ; დასასრულს საპატრიარქოში პრემიერის სახით ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ლექსზე რამდენიმე დღის წინათ თავად პატრიარქის მიერ დაწერილი მუსიკა შესრულდა.

ამ შთაბეჭდილებებით გაემგზავრნენ ბავშვები (11-დან 17 წლამდე ასაკის, მიუსაფართა სახლების აღზრდილები) საქართველოდან ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მდებარე წმინდა იოანეს სახელობის სოფელში განლაგებულ ბანაკში. ფონდი "იავნანა" უკვე მესამედ გზავნის უცხოეთში სამოგზაუროდ უდედმამო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საქართველოდან. მაისში 18 ბავშვმა ჩეხეთსა და სლოვაკეთში დაისვენა. თავად ბავშვებმა "იავნანას" ამ საქველმოქმედო პროგრამას "ოცნებასთან შეხვედრა" უწოდეს.

დაბოლოს, მიუსაფარი ბავშვების ოცნებასთან მესამე შეხვედრა შეუძლებელი გახდებოდა, რომ ფონდ "იავნანასთვის" დახმარება არ გაეწია სადაზღვევო კომპანია "ალდაგს", ლევან ვასაძეს, ბადრი კაკაბაძეს, საქართველოს განათლების სამინისტროს, თურქეთისა და საბერძნეთის საელჩოებს საქართველოში, საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილსა და, რასაკვირველია, ღონისძიების ინიციატორ ორგანიზაცია "არგოს".

# ის, რაც ძვირფასია

ძველი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მიდამოებში მიმდინარე გამოფენა ეძღვნება იმ ნივთებს, რომლებიც ადამიანებს კომფორტის, უსაფრთხოების გრძნობას ანიჭებს. 15 სექტემბრამდე დამთვალიერებელს 200-მდე ასეთი ექსპონატის ნახვა შეეძლება. ზოგს პირადი უსაფრთხოებისა და შინაგანი კომფორტისთვის კბილი ჯაგრისი და პასტა სჭირდება, ზოგს - გადანახული ფული და სუფთა საცვალი, ზოგს - შექსპირის კრებული და წითელი პომადა, სხვას კი ერთი ბოთლი კოკა-კოლაც ჰყოფნის.

მხატვარმა ჩანგ-ჯინ ლიმ თითოეული ეს დეტალი გაითვალისწინა და ექსპონატი სხვადასხვა ტიპის ადამიანებს მიუძღვნა. "ეს პროექტი იმედის შესახებ გვამცნობს... შევეცადე, ერთად მომეყარა თავი იმ ნივთებისთვის, რომ-









ლებიც გვიყვარს და რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია", - განაცხადა მხატვარმა და თითოეული ნივთი ცალ-ცალკე პიედესტალზე მოათავსა განსაკუთრებული პატივისცემის გამოსახატად.

რაც მთავარია, მის გამოფენაში ფანტაზია მინიმალურ დონეზეა დაყვანილი. ჩანგ-ჯინ ლიმ ექსპონატი იმ ადამიანებისგან შეაგროვა, რომელთაც წინასწარ ესაუბრა და თავისი იდეაც გაუმხილა. სწორედ მათგან შეაგროვა მხატვარმა მობილური ტელეფონები, წყლით ან არყით სავსე ბოთლები, ფოტოები, ვიდეო-კასეტები და სხვა ნივთები. მხატვარს იმედი აქვს, რომ მის გამოფენას დამთვალიერებელი არ გამოელევა. "მოვლენ და თვითონაც დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა ანიჭებს მათ ცხოვრებას უსაფრთხოებას", - დასძენს ის.

მოკლედ

# მარია I

*"მარია შარაპოვას ხელი შეუშალა ტრავმამ, გამხდარიყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი"; "მარია შარაპოვა* ***WTA*** *რეიტინგის სათავეში ერთ კვირაში მოექცევა"; მარია შარაპოვა და მარია შარაპოვა. რიგი საინფორმაციო წყაროები რუს ჩოგბურთელს რეიტინგის სათავისკენ მიმავალ ნაბიჯებს უთვლიდნენ და უთვლიდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი სათაურებიც სწორედ იმ საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული არასრული ჩამონათვალია. ახლა მორიგი სათაურიც გამოცხვა: "მარია შარაპოვა მსოფლიოს პირველი ჩოგანია". სათაურების ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაშიც ნაირგვარია.*

ბიბა ბურასაშვილი

**დაიბადა** 1987 წლის 19 აპრილს
**1996 წელი:** გადავიდა ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში
**2001 წელი:** იწყებს პროფესიულ ტურნირებზე გამოსვლას
**2002 წელი:** მსოფლიო რეიტინგის 186-ე ჩოგანია
**2003:** მსოფლიო რეიტინგის 32-ე ჩოგანია
**2004 წელი:** იგებს უიმბლდონსა და წლის შემაჯამებელ ტურნირს
**2005 წელი:** ხდება მსოფლიოს პირველი ჩოგანი

როგორც არ უნდა იყოს, 18 წლის რუსი ჩოგბურთელი ქალთა ასოციაციის (WTA) რეიტინგის სათავეში მოექცა. 22 აგვისტოს გამოქვეყნებული რეიტინგ-ნუსხა სწორედ შარაპოვას პირველობას გვამცნობს. მანამდე პირველი ჩოგნის სტატუსით, ამასთან, საკმაოდ დიდხანს სარგებლობდა ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი, რომელსაც, სხვათა შორის, თავად გაჰკვირვებია, ამდენ ხანს პირველობას რომ ინარჩუნებდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუს და ამერიკელ ჩოგბურთელებს გასულ კვირას არ უთამაშიათ, გადაადგილების მიზეზი ის არის, რომ დევენპორტმა შარშან მოპოვებული სანუკვარი სარეიტინგო ქულები ვერ შეინარჩუნა (დევენპორტის უთამაშებლობის მიზეზი ზურგის ტრავმაა. შეგახსენებთ, რომ რეიტინგისთვის ითვალისწინებენ ბოლო კალენდარული წლის ტურნირებში მონაწილეობას.- რედ.), ანუ თუ ამერიკელმა ქულები დაკარგა, რუსის ქულათა ჯამი ხელუხლებელი დარჩა. ამჟამად შარაპოვას ანგარიშზე 4452 ქულაა, ხოლო დევენპორტის ეს მაჩვენებელი 4300 ქულით განისაზღვრა.

რა არის აქ აღსანიშნავი? საქმე ისაა, რომ, 1975 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ რეიტინგი შემოიღო, რუსეთის წარმომადგენელი პირველ ჩოგნის სტატუსამდე არ აღზევებულა. ეს, რაც შეეხებათ ქალებს, თორემ ვაჟებში ამ სტატუსით ადრე ევგენი კაფელნიკოვი და მარატ საფინი სარგებლობდნენ.

...წლეულს შარაპოვამ სამი ტურნირი მოიგო. ქულებიც საკმაოდ მოაგროვა და ერთი კვირის წინაც შეეძლო რეიტინგის სათავეში მოქცეულიყო, მაგრამ ამისთვის ლოს ანჯელესის ტურნირის ნახევარფინალში უნდა გაეღწია, რომელიც მეოთხედფინალში სლოვაკიელ დანიელა ჰანტუხოვასთან ტრავმის გამო უთამაშებლობით ჩაიშალა.



**WTA-ის პირველი ათეული**

*(ფრჩხილებში გასული კვირის ადგილებია მითითებული)*

| | |
|---|---|
| 1. (2) მარია შარაპოვა (რუსეთი) | 4452 |
| 2. (1) ლინდსეი დევენპორტი (აშშ) | 4300 |
| 3. (3) ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3718 |
| 4. (8) კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3179 |
| 5. (4) სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3168 |
| 6. (6) ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2987 |
| 7. (5) ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 2941 |
| 8. (7) სერენა უილიამსი (აშშ) | 2844 |
| 9. (10) ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2720 |
| 10. (9) ვინუს უილიამსი (აშშ) | 2658 |

საგულისხმოა, რომ 324-ე ადგილიდან პირველი ჩოგნის სტატუსამდე დასაწინაურებლად რუს ჩოგბურთელს სამი წელიწადი დასჭირდა. ამ მხრივ შარაპოვას გიგანტური ნახტომი ჰქონდა შარშან, როდესაც 17 წლისამ უიმბლდონი მოიგო და მას ექვსი დიდი ტურნირიც მიაყოლა. წლეულს დიდი სლემის ტურნირებზე ორჯერ გავიდა ნახევარფინალში, ერთხელ კი - მეოთხედფინალში.

რა თქმა უნდა, "ოქროს გოგონა" ამა თუ იმ ფირმებისა და კომპანიების სასურველი სამიზნეცაა. ცხრა მოწინავე კორპორაციასთან გაფორმებული სარეკლამო ხელშეკრულებებით გახდა მსოფლიო სარეკლამო სამყაროს ყველაზე წარმატებული და მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი - წლიური მონაგარით 20 მილიონი დოლარი.

სპორტული კარიერა ცხრა წლისამ დაიწყო ფლორიდაში ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში... დღეს კი მსოფლიოს პირველ ჩოგნად იწოდება.

"ჩემი ოცნებები ხორცს ისხამს. აქტივში მაქვს დიდი სლემის ტურნირზე გამარჯვება. დღეს კი პირველი ჩოგანი ვარ".